ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი — კვირა, 13 — 14 თებერვალი, 2016

№36 (6962)

ფასი: 50 თეთრი

## ლონდონში მელიებს თოფით დახვდებიან



გვ.9

### სტატისტიკა, ფსონები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13.02 | რეალი-ბილბაო | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 13.02 | იუვენტუსი-ნაპოლი | 2.1 | 3.2 | 3.75 |
| 13.02 | პსჟ-ლილი 1.33 | 4.8 | 10.0 | |
| 13.02 | რეიმსი-ბასტია | 1.85 | 3.3 | 4.6 |
| 13.02 | გენგამი-ბორდო | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 14.02 | არსენალი-ლესტერი | 1.75 | 3.75 | 4.5 |
| 14.02 | ასტონ ვილა-ლივერპული | 4.4 | 3.4 | 1.85 |
| 14.02 | სიტი-ტოტენჰემი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 14.02 | ხეტაფე-ატლეტიკო | 7.0 | 3.6 | 1.57 |
| 14.02 | ბარსელონა-სელტა | 1.07 | 11.0 | 29.0 |
| 14.02 | ჰამბურგი-გლადბახი | 3.1 | 3.5 | 2.2 |
| 14.02 | აუგსბურგი-ბაიერნი | 11.0 | 6.0 | 1.25 |
| 14.02 | მილანი-ჯენოა | 1.75 | 3.6 | 4.8 |
| 14.02 | ფიორენტინა-ინტერი | 2.25 | 3.3 | 3.2 |

# „ნაციონალები პოლიტიკურ კარიერას ფსიქიატრიულში დაასრულებენ“



გვ.3

## კარლო კოპალიანი: „ყოფილი ხელისუფლება მთლად გიჟებს დავამსგავსეთ“

## ირმა ნადირაშვილი: „ხადურმა ცოლისდა თანაშემწედ დაასაქმა“



გვ.2



## ლია მუხაშავრია: „ახალი მოსამართლეების დანიშვნაზე მორატორიუმს აზრი უნდა ჰქონდეს“

გვ.4





გვ.2

## სირიაში საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დაიღუპა



## აშშ რუსეთის მიმართ პოლიტიკას ცვლის

გვ.5

რა შეიცვალა 2008 წლის საქართველოში განხორციელებული აგრესიის შემდეგ?



ISSN 1987-9385

## „ბოლო 26 წლის განმავლობაში რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ იბრძვის“

რა შედეგები მოაქვს რუსულ პროპაგანდას საქართველოში

გვ.5







გვ.6

## რევოლუციური ცვლილებები, სოლიდური შეღავათები

ბიზნესი მთავრობის საგადასახადო რეფორმას აფასებს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ირმა ნადირაშვილი: „ხადურმა ცოლისდა თანაშემწედ დაასაქმა“

შორენა მარსაგიშვილი

**მსოფლიოში ალბათ ვერსად იპოვით ცოლშვილის და სიდედრცოლისდის ისეთ მოყვარულ დეპუტატებს, როგორებიც საქართველოში არიან. ბოლო წლების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კანონმდებლებს კანონების მიღებაზე მეტად საკუთარი მოყვრების დასაქმება ხიბლავთ.**



დეპუტატის თანაშემწის პოზიცია კანონმდებლების ცოლების დასასაქმებლად იდეალური ადგილი გამოდგა. მაგალითად, მახირ დარზიევის მეუღლე კობა დავითაშვილის თანაშემწეა, ხოლო დავითაშვილის თანამეცხედრე დარზიევთან მუშაობს.

სხვა დეპუტატებმაც თანაშემწეებად სიძეები და ძმისშვილები გააფორმეს. ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერის, ირმა ნადირაშვილის მიერ მოპოვებული ინფორმაციით თუ ვიმსჯელებთ, კანონმდებლების ოჯახობას სხვა სტრუქტურებშიც კარგად მოუკიდებიათ ფეხი.

საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე ნადირაშვილმა ხელისუფლების წევრების დასაქმებული ნათესავების არასრული სია წარმოადგინა.

მისი თქმით, მათ მიერ გამოვლენილი ნეპოტიზმის ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი მინისტრების, მათი მოადგილეებისა და დეპუტატების ოჯახის წევრების შენახვაზეა ორიენტირებული.

— მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლიდან, დეპუტატების, მინისტრების, მინისტრის მოადგილეების ოჯახის წევრებმა სამსახურების შოვნა დაიწყეს. იკვეთება ორი ტენდენცია — როდესაც ოჯახის წევრები პირდაპირ საჯარო სტრუქტურებში იწყებენ მუშაობას; და როდესაც ყველა კერძო სტრუქტურას ერთდროულად მოუნდა ამ ადამიანების დასაქმება, — განაცხადა ნადირაშვილმა.

მისი თქმით, ნაცმოძრაობამ ეს აღიარება თავად მეოცნებეებისგან მიიღო.

— ჩვენ ძირითადად ის მაგალითები გვაქვს, რომლებიც დეკლარაციაშია მოცემული. მინისტრი, მისი მოადგილე და საკანონმდებლო ორგანოს წევრი თავად მიუთითებს, რომ მისი შვილი ან მეუღლე 2012 წლამდე იყო უმუშევარი, შესაბამისად, მათი შემოსავალი იყო 0, 2012 წლის შემდეგ კი იწყებენ სამსახურს, — აღნიშნავს ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

მაგალითების მოყვანა მან პარლამენტის ვიცე-სპიკერის, მანანა კობახიძის ოჯახობით დაიწყო.

— მანანა კობახიძემ 2012 წელს, როგორც კი ეს პოზიცია დაიკავა, მისი და მინისტრის მოადგილე გახდა, ხოლო მეუღლე სასწრაფოდ მიიღეს კერძო სექტორში. ახლა ის შპს ბროილერში მუშაობს, — აღნიშნა ნადირაშვილმა.

მისივე თქმით, გია ჟორჟოლიანის გადეპუტატების შემდეგ, მისი ძმა ჯანდაცვის სამინისტროში დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ დასაქმდა.

თამაზ ჯაფარიძის გადეპუტატების შემდეგ, მისი მეუღლე პრეზიდენტის რეზიდენციაში დაცვის უზრუნველყოფის სააგენტოში დაასაქმეს.

ირმა ნადირაშვილის განცხადებით, როსტომ ხალვაშმა 2 შვილი დაასაქმა.

— ისინი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და აჭარის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებაში დასაქმდნენ. ეს ორივე სახელმწიფო სტრუქტურაა, — ამბობს დეპუტატი.

მისივე ინფორმაციით, თამარ კორძაიას გადეპუტატების შემდეგ, მისი თანამეცხედრე დააწინაურეს.

— თამარ კორძაიას მეუღლე, ზაზა მენაბდე, იყო აჭარის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის პასუხისმგებელი მორიგე, ახლა კი ის დაწინაურდა და ჯერ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის ერთ-ერთი განყოფილების უფროსად, შემდეგ კი შპს სინათლის ქალაქის მონიტორინგის სამსახურის უფროსად დასაქმდა, — დაიჩივლა ნადირაშვილმა.

კოლეგის ბრალდებებს ოპერატიულად გამოეხმაურა თამარ კორძაია, რომელიც აცხადებს, რომ მისი ქმრის აჭარიდან თბილისში გადმოსვლა მათ დაქორწინებას უკავშირდება.

მისივე განცხადებით, რომელიმე შპს-ს მონიტორინგის უფროსობა ნეპოტიზმი არ არის.

— მისი თბილისში გადმოსვლა არ უკავშირდება ნეპოტიზმს. ჩვენ დავქორწინდით 2010 წელს და იმიტომ გადმოვიდა თბილისში. თუ რომელიღაც შპს-ს მონიტორინგის უფროსობა ნეპოტიზმის გამოვლინებაა, კი ბატონო, — განაცხადა კორძაიამ.

ნადირაშვილის ინფორმაციით, კარგად დასაქმებულან პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის და მისი მოადგილის შვილებიც.

— ნოდარ ებანოიძის შვილები შემოსავლების სამსახურსა და თბილისის მერიაში დასაქმდნენ. თამაზ მეჭიაურის შვილი კი თბილისის პრობაციის ბიუროში დასაქმდა, — აღნიშნავს დეპუტატი.

აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები დეპუტატებზე არანაკლებად ზრუნავენ შვილებსა და ცოლეურებზე.

როგორც ნადირაშვილი აცხადებს. ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის მეუღლე აიყვანეს ლიბერთი ბანკში.



— ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალი ის არის, რომ ხადურის ცოლისდა მისი პირადი თანაშემწეა, — აცხადებს კანონმდებელი.

მეოცნებეების მიერ დაწყებული ნათესავების დასაქმება ირმა ნადირაშვილს სერიოზულად აწუხებს. ის ამბობს, რომ მათი წყალობით, განათლებული ხალხი პერსპექტივის გარეშე რჩება.

— ჩვენ ვთვლით, რომ ესაა საგანგაშო, ძალიან მანკიერი ტრადიცია. ეს ნიშნავს, რომ პერსპექტიული განათლებული ადამიანისთვის დახურულია კერძო და საჯარო სექტორის კარი. ბიუჯეტში ძალიან მძიმე მდგომარეობაა და ამის პარალელურად ვხედავთ, რომ ის მაღალი თანამდებობის პირების ოჯახის წევრების შენახვაზეა ორიენტირებული, — ასეთია ნადირაშვილის დასკვნა.

# სირიაში საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დაიღუპა

შორენა მარსაგიშვილი

სირიაში მიმდინარე საომარი მოქმედებებისას საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დაიღუპა.

აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, გარდაცვლილი თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალას მკვიდრი, 30 წლის ბესლან მუხტაროვია.

აზერბაიჯანული გამოცემის „ჰაქინ.აზ“ ინფორმაციითვე, მუხტაროვი სირიაში გასული წლის ოქტომბერში გაემგზავრა.

— ბესლან მუხტაროვი საქართველოდან სირიაში 2015 წლის ოქტომბერში წავიდა და ავიაიერიშების შედეგად დეკემბერში გარდაიცვალა. ინფორმაცია მისი დაღუპვის შესახებ ახლა გავრცელდა. ბესლან მუხტაროვი განათლებით ექიმი იყო და სირიაში დაჭრილ მებრძოლებს უვლიდა, — იუწყება აზერბაიჯანული მედია.

მისი გარდაცვალების ფაქტს ადასტურებს სოფელ ყარაჯალას გამგებელი ალისკარ სარდაროვი.

მისი განცხადებით, მუხტაროვი წლების განმავლობაში თურქეთში მუშაობდა და მისთვის უცნობია, როდის გადავიდა სირიაში.

აზერბაიჯანულ მედიას თუ დავუჯერებთ, მუხტაროვით თურქული სპეცსამსახურები რამდენიმე წლის წინ დაინტერესდნენ.

— ბესლან მუხტაროვი რამდენიმე წლის განმავლობაში თურქეთში ცხოვრობდა. 2011 წელს მის წინააღმდეგ თურქულმა სპეცსამსახურებმა გამოძიება დაიწყეს რადიკალურ ისლამისტურ დაჯგუფებებთან კავშირის ბრალდებით. მუხტაროვი საქართველოში დაბრუნდა, სადაც მწყემსად მუშაობდა. საქართველოდან სირიაში ის 2015 წლის ოქტომბერში წავიდა და დაჯგუფება „ჯაბჰათ ალ ნუსრას“ წევრი იყო, — წერს გამოცემა „ჰაქინ.აზ“-ი.

მისივე ინფორმაციით, ბესლან მუხტაროვის გარდაცვალების შემდეგ დედამისის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და ის ერთ-ერთ ქართულ კლინიკაში, რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს.

როგორც ირკვევა, თელავის რაიონიდან სირიაში სხვებიც წავიდნენ.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, 2015 წლის მაისში, სოფელ ყარაჯალადან სირიაში ორი ქალიც წავიდა, ელმირა სულეიმანოვა და დიანა ღარიბოვა. რამდენიმე თვის შემდეგ, ელმირა სულეიმანოვა მისმა მეუღლემ შარიათის სასამართლოს გადაწყვეტილებით ყარაჯალაში დააბრუნა.

მათ სამი შვილი ჰყავთ.

* * *

ამ თემის აქტუალობის მიუხედავად, ხელისუფლებას უჭირს იმის თქმა, თუ საქართველოს რამდენი მოქალაქეა სირიაში საომრად წასული. დაუზუსტებელი ინფორმაციით, იქ 100-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე იბრძვის.

პროცენტულად ყველაზე მეტი ახალგაზრდა პანკისიდან არის წასული. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, 2015 წლის აგვისტო-სექტემბერში პანკისიდან სირიაში კიდევ 5 ახალგაზრდა წავიდა,



მათ შორის ორი თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია. ერთი ისტორიულზე სწავლობდა, მეორე — ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალობაზე, მეოთხე კურსზე. ორივე მათგანი სოფელ დუმასტურში ცხოვრობდა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, ბესლან მუხტაროვის, ხვიჩა გობაძის და რამდენიმე სხვა შემთხვევა მიუთითებს, რომ საქართველოდან სირიაში ახალგაზრდები მას შემდეგაც მიდიან, რაც 2015 წლის 14 ივნისს, ტერორიზმის ხელშეწყობის ბრალდებით, პანკისის ხეობის სოფელ ჯოყოლოს ყოფილი იმამი, 36 წლის აიუფ ბორჩაშვილი დააპატიმრეს.

საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიების მასალებით დადგენილია, რომ აიუფ ბორჩაშვილი არის „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენელი საქართველოში.

ბრალდების მიხედვით, იგი ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზნით მოქალაქეების გადაბირებას ახდენდა და შემდგომში საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად, სირიაში მათ გამგზავრებას უზრუნველყოფდა.

## გიორგი კვირიკაშვილი: „ირანი საქართველოსთან თანამშრომლობისთვის მზადაა“

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, საერთაშორისო სანქციების მოხსნის გათვალისწინებით, ირანს შეუძლია რეგიონში განახლებული დინამიზმის შემოტანა, ხოლო საქართველოს მდებარეობა ევროპისა და აზიის გასაყარზე, მას აძლევს შესაძლებლობას, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ირანსა და ევროპას შორის თანამშრომლობის გაღვივებაში.

— ირანთან ჩვენ გვაკავშირებს ხანგრძლივი ურთიერთობების ტრადიცია, პირველ რიგში, კულტურული ურთიერთობები და ტურიზმი, რომლებიც დასაწყისისთვის შეიძლება გახდეს თანამშრომლობის შესანიშნავი მიმართულებები. ამისთვის ჩვენ განვაახლებთ უვიზო რეჟიმს ირანთან. შედეგად, გაიზრდება ირანელი სტუმრების რიცხვი, ბიზნესმენების ჩათვლით, რომლებიც საქართველოში ჩამოვლენ ბიზნესშესაძლებლობების მოსასინჯად. ირანი მზად არის, განიხილოს თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში, ენერგეტიკის ჩათვლით, რაც ძალიან საინტერესო შეიძლება იყოს ევროპისთვის ენერგორესურსების დივერსიფიკაციის კუთხით. საქართველოს ხელსაყრელი მდებარეობა ევროპისა და აზიის გასაყარზე კი, მას აძლევს შესაძლებლობას, შესთავაზოს ირანსა და ევროპას თანამშრომლობის პერსპექტივა, — განმარტა გიორგი კვირიკაშვილმა.




ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ნაციონალები პოლიტიკურ კარიერას ფსიქიატრიულში დაასრულებენ“

## კარლო კოპალიანი: „ყოფილი ხელისუფლება მთლად გიჟებს დავამსგავსეთ“



შორენა მარსაგიშვილი

**დაიწყო თუ არა „ქართულ ოცნებაში" განხეთქილების ახალი ეტაპი, სად დაასრულებენ კარიერას ნაციონალები, ვინ არის ხეების მტერი და მოყვარე? – ამის შესახებ „ახალ თაობას" საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი კარლო კოპალიანი ესაუბრება.**

***– თინა ხიდაშელი და გოგი თოფაძე ერთმანეთს წაეკიდნენ. რა ხდება მათ შორის?***

– ამდენი ხანია მიცნობთ და ამდენი ხანია თქვენი რესპონდენტი ვარ. ამ კითხვას როგორ მისვამთ? ხომ იცით, თუთაშხიასავით ვარ, არავის საქმეში მე არ ვერევი და საიდან უნდა ვიცოდე, რა მოხდა ქალბატონ თინასა და ბატონ გოგის შორის.

***– გასაგებია, რომ მათი პირადი დაპირისპირება არ გაინტერესებთ. გუნდში რა ხდება ამის ფონზე? ექსპერტების მტკიცებით, ამ წაკინკლავებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კოალიციაში ბზარები გაჩნდა.***

– მე ამ კოალიციის წევრი ვარ და, ასე თუ ისე, პროცესები ჩემ თვალწინ მიდის. რაიმე განსაკუთრებული არაფერი შემინიშნავს. რესპუბლიკელებს ხმა არ ამოუღიათ. ბატონ გოგის კიდევ ყოველთვის ახასიათებდა არაორდინარული გამონათქვამები. მე პირადად ვერსად ვამჩნევ ბზარს.

***– მომავალში თუ გაიბზარება კოალიცია?***

– ამ გადმოსახედიდან თუ ვიტყვით, ახლო მომავალში მსგავსი არაფერი გვემუქრება. და საერთოდ, რა დროს ჩვენს რიგებში გაჩენილ ბზარებზეა საუბარი, როდესაც ქვეყანა იქცევა. დანარჩენი მედიის მსგავსად, ეტყობა, არც თქვენ მიგიქცევიათ ყურადღება, რა „ცხელი“ თემა ასწია ნაციონალურმა მოძრაობამ. ისეთი ცხარე დებატები გამართეს, კინაღამ მეც კი დავიჯერე, რომ თავს უბედურება დაგვატყდა. ახლაც რომ დამირეკეთ, მეგონა, ამ „უბედურებაზე“ გინდოდათ კომენტარის მოსმენა. თქვენ კიდევ მეკითხებით, გოგისა და თინას შორის რა ხდებაო.

რეგიონული მმართველობისა და გარემოს დაცვის კომიტეტზე დიდი ამბები დატრიალდა. 3 ხის მოჭრის გამო ისეთი ხმაური ატეხეს, ისეთი სურათი დახატეს, არმაგედონი მასთან მონაგონია.

***– 3 ხის მოჭრას თუ გადარგვას ხელისუფლება არაფრად მიიჩნევთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ საუბარი ასწლოვან ხეებზეა. იქნებ მართლა არ შეიძლება ამ ხეების სხვა ადგილას გადატანა?***

– რას ჰქვია ასწლოვანი ხე. როდესაც მოხუცდება ადამიანი, თავშესაფარში მიჰყავთ, თუ პატრონი არ ჰყავს, სადაც მას უკეთესად მოუვლიან.

***– იმის თქმა გინდათ, რომ ეს ხეები დაბერდნენ და თავშესაფარში მიჰყავთ?***

– ასე გამოდის. გადაიტანენ დენდროლოგიურ პარკში და იქ საგანგებოდ მოუვლიან. ციხისძირში კი ეს ხეები შეიძლება გახმეს. სხვას რომ ამოეღო ხმა, რეაქცია არ მექნებოდა, მაგრამ ნაციონალები ხეებზე როგორ უნდა ლაპარაკობდნენ, არ მესმის.

***– რატომ არ უნდა იღებდნენ ხმას ხეებზე?***

– ეგ ურცხვები არ იყვნენ, ხელისუფლებაში ყოფნის დროს ასიათასობით ხე რომ მოჭრეს და საქართველოდან გაიტანეს? ეს ხალხი ხეების გადარგვის გამო ერთ ამბავს რომ აგიტეხს, სირცხვილი არ არის? ეს პირშიც ვუთხარი და, იცი, რა ჰქონდათ პასუხი? გვითხრეს, რომ გახმეს, მერე რა ვქნათო. ამან სულ გადამრია და ვუპასუხე: შეძახილმა ხე გაახმო და იმდენს იძახით გახმება-გახმებას, რომ მართლა გაახმობთ იმ ასწლოვნებს.

***– მართლა რომ გახმეს, მერე რა ხდება, მართლა მაგათ შეძახილს ხომ არ დააბრალებთ ამ ამბავს?***

– კარგი ამბავი არ იქნება, მაგრამ ამით არც ქვეყანა დაინგრევა. ის მწყინს, ნაციონალები რომ ყვირიან. ამ ურცხვებს ხელისუფლებაში ყოფნისას მარტო თბილისში 80.000 ხე აქვთ მოჭრილი. ახლა ჯერ არაფერი მომხდარა და გაიძახიან, ივანიშვილი ხეებს ახმობსო.

ყველაფრის ერთი კაცისთვის დაბრალება სად გაგონილა? ამათ კიდევ ამოუჩემებიათ და სულ ბიძინა-ბიძინას გაიძახიან. სიმართლე თუ გინდათ, კი არ მიკვირს მათგან ასეთი ამოჩემება. ბიძინამ უქნა მაგათ საქნელი, თუ უქნა. ივანიშვილი რომ არ გამოჩენილიყო, დააქცევდნენ ნაციონალები ქვეყანას.

***– ვთქვათ, ხეების გადატანა პრობლემა არ არის, მაგრამ აუცილებელი იყო იმ ხალხის დაკავება, რომლებიც ხეების გადარგვას უშლიდნენ ხელს? „ქართული ოცნება“ ნაციონალების მეთოდებს ხომ არ იყენებთ შემთხვევით? თავადაც ამბობენ, რაც ცუდი გვქონდა, ყველაფერი გადაიღესო.***

– მაგათგან ჩვენ კი არა, ეშმაკი არ გადაიღებს არაფერს. რაც შეეხება დაკავებას, კანონით ეს არცერთ ქვეყანაში აკრძალული არ არის. ადამიანი თუ ხულიგნობს და სამართალდამცავ ორგანოებს არ ემორჩილება, მაშინ ის კანონით უნდა დაისაჯოს. არსად არცერთ კანონში არ წერია, რომ ნაციონალებსა და პარტიზან მებაღეებზე ეს ნორმა არ ვრცელდება.

მაინტერესებს, რას აპროტესტებდნენ ეს ადამიანები საერთოდ? ფირმამ კანონიერად იყიდა ხეები და ახლა სხვა ადგილზე გადააქვს. წავიდნენ მაშინ და ისიც გააპროტესტონ, გზის პირებზე ხის ნერგები რომ იყიდება. ხე არის ქონება და მყიდველს უფლება აქვს, ის სადაც უნდა, იქ გადაიტანოს. ამაში ხელის შეშლა იგივეა, ქარხანა ვიყიდო და იქ არ შემიშვან. თუმცა, საქართველოში ხომ ყველაფერი ხდება. აგერ, ხალხმა იყიდა მაესტრო და შენობაში არ უშვებენ.

ამათ ხომ ადამიანურად და კანონიერად გაკეთებული არაფერი მოსწონთ. ამ ურცხვებისთვის მისაღები ის ფორმა იყო, ხალხს რომ იჭერდნენ და შუაღამისას ქონებას მათ სიდედრებსა და საყვარლებზე აფორმებინებდნენ. ეს ზურაბ ჭიაბერაშვილი საერთოდ ვინ არის, გამაგებინეთ, ამდენს რომ ყვირის, რა უფლება აქვს. უკვე აღარ შეიძლება ამის ატანა.

***– ჭიაბერაშვილი ვინ არის და თბილისის ყოფილი მერი, ყოფილი მინისტრი.***

– ყოფილი მერი აბა, მაგან ააშენა თბილისი სწორედ. ჩემთვის ეგ ის კაცია, რომელმაც ქართლის დედას შეურაცხყოფა მიაყენა და არც კი მინდა გავიმეორო, რას შეადარა მისი ხმალი.

***– ამაზე თქვა, ფილოსოფოსი ვარ და ფილოსოფიურად ავხსენიო.***

– ფილოსოფოსი თუა, წავიდეს და მიხედოს თავის ფილოსოფიას. ყველაფრის კადრება ხომ არ შეიძლება. შეუშვან ურცხვ თავებში, რომ ხალხს არაფერი დავიწყებია და ყველაფერი კარგად ახსოვს. ამაში ისინი შემოდგომაზე არჩევნებზე დარწმუნდებიან.

ისე, მართლა რა საშინელ დღეში ყოფილან, 3 ხის გადარგვაზე რომ დავიდა მათი იდეოლოგია. ხელისუფლებას რომ უთვლიან რაღაც ხარჯებს, იმას რატომ არ ამბობენ, რომ მათი გიჟი პრეზიდენტი გარყვნილებაში ხარჯავდა მილიონებს. ის მასაჟისტებს აძლევდა მილიონებს, ივანიშვილი კი ფულს სახელმწიფოსთვის ხარჯავს. ეს ხეებიც დენდროლოგიურ პარკში გადააქვს.

***– ნაციონალები 3 ხის ამბავს რომ აპროტესტებენ, ეს აშკარად არ მოგწონთ, მაგრამ მათ ბევრი სხვა პრეტენზია აქვთ ხელისუფლების მიმართ, მაგალითისთვის, მომძლავრებულ რუსულ პროპაგანდას აპროტესტებენ და რუსული არხების აკრძალვას მოითხოვენ.***

– მაგის ყვირილიც დაიწყეს, რუსული არხების მაუწყებლობა უნდა აიკ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ვახტანგ ხმალაძე: „საკონსტიტუციო კომისია არაფრის შემქმნელი არ არის“



სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ მუშაობა უნდა დაასრულოს, რადგან ჩანს, რომ ის არაფრის შემქმნელი არ არის, ამის შესახებ დეპუტატმა ვახტანგ ხმალაძემ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში შექმნილი იმ სამუშაო ჯგუფის სხდომაზე განაცხადა, რომელიც პარლამენტთან, პრეზიდენტთან და მთავრობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობის მიზნით ჩამოყალიბდა.

აღნიშნული ჯგუფი 2014 წლის 12 მაისის შემდეგ, დღეს პირველად და სავარაუდოდ, უკანასკნელად შეიკრიბა, თუმცა იმის გამო, რომ კვორუმი არ იყო, არც ერთ საკითხზე არსებითი განხილვა არ გამართულა. სხდომაზე მისულმა ჯგუფის წევრებმა ზოგადი პოზიცია დააფიქსირეს საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღების საჭიროებასა და ამ მიმართულებით შესაბამისი საკანონმდებლო მექანიზმების შექმნის საკითხზე.

მოსაზრებები გამოითქვა კონსტიტუციით პარლამენტის ადგილსამყოფელად ქალაქ ქუთაისის განსაზღვრის და აღნიშნულის შეცვლის თაობაზე.

გარდა ამისა, როგორც შეხვედრაზე გახდა ცნობილი, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრებს კომისიაში შესული საკონსტიტუციო წინადადებათა პროექტები ელექტრონული ფორმით გადაეგზავნათ, თან დართული გრაფებით – „ვეთანხმები“, „არ ვეთანხმები“, „თავს ვიკავებ“. კომისიის წევრებს კი, სათანადო პასუხების გასაცემად ვადა 15 თებერვლამდე მიეცათ.

აღნიშნულთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე უარყოფითი პოზიციები გამოითქვა. როგორც კომისიის წევრმა ფიქრია ჩიხრაძემ აღნიშნა, ეს ონლაინ-გამოკითხვას ჰგავს და არა კონსტიტუციასთან დაკავშირებული საკითხებზე მუშაობას და ამ ფორმით რაიმე გადაწყვეტილების მიღება, არასერიოზული იქნება.

თავის მხრივ სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა ვახტანგ ხმალაძემ რამდენჯერმე დააფიქსირა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კომისია ვერც ერთ საკითხზე გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს.

**ვახტანგ ხმალაძე:**

– საკონსტიტუციო კომისიაში რაღაც წინადადებები შემოვიდა. ეს ყველაფერი ერთად არის თავმოყრილი. აღნიშნული წინადადებები კომისიის ყველა წევრს აქვს, მაგრამ მე ძალიან მეპარება ეჭვი, რომ საკონსტიტუციო კომისიამ რომელიმე წინადადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება შეძლოს.

ჯერ-ჯერობით არც ერთ სამუშაო ჯგუფს მის მიერ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე გადაწყვეტილება არ მიუღია.

ჩვენ გვქონდა მცდელობა, სამუშაო ჯგუფი შეკრებულიყო და რაღაც გადაწყვეტილებები მიგვეღო, მაგრამ ჯგუფის 32 წევრიდან სხდომაზე ჯგუფის ცხრა წევრი მოვიდა და ჯგუფი უფლებამოსილი არ იყო რაიმე გადაწყვეტილება მიეღო. ჩემი ინფორმაციით, ასეთივე ვითარება იყო სხვა სამუშაო ჯგუფებში. არ ვიცი, იქნება თუ არა კვორუმი უკვე სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე. შესაძლებელია კვორუმი არ შეიკრიბოს. კვორუმი რომც იყოს, ეჭვი მეპარება, კომისიამ რაიმე საკითხზე გადაწყვეტილების მიღება შეძლოს.

საკონსტიტუციო კომისიის უშედეგოდ მუშაობის მიზეზთა შორის ხმალაძე კონსტიტუციაში ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო მაღალ კვორუმს ასახელს.

– კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას პარლამენტის წევრთა 3/4 ანუ სულ მცირე 113 ხმა სჭირდება. იმ პირობებში, როგორი ურთიერთდამოკიდებულებაც არის საპარლამენტო უმრავლესობასა და საპარლამენტო ოპოზიციას შორის – უპირველს ყოვლისა, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ურთიერთობა, ალბათობა იმისა, რომ რაიმე საკითხზე შეთანხმდნენ, ძალიან დაბალია. აქედან გამომდინარე, არის განცდა იმისა, რომ საკონსტიტუციო კომისიამ რაც არ უნდა გადაწყვიტოს, ცვლილებებს პარლამენტი მაინც არ მიიღებს და ამაზე ტყუილად დრო და ენერგია რატომ ვკარგო, – აღნიშნა ხმალაძემ.

ამასთან, სამუშაო ჯგუფის წევრებმა დღევანდელ სხდომაზე კონსტიტუციასთან დაკავშირებულ საკითხებსაც გადაუხვიეს და ერთგვარი იუმორით, საუბარი იმის შესახებ წარიმართა, რამდენად სწორია ქალისადმი „ქალბატონოთი“ მიმართვა და რა ეწოდება დაკოდილ და დაუკოდავ ხარს.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია პარლამენტის დადგენილებით 2013 წლის ბოლოს შეიქმნა. კომისიას კონსტიტუციაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი პარლამენტისთვის ჯერ კიდევ 2014 წლის 1-ელი ოქტომბრისთვის უნდა წარედგინა, რაც ვერ შეძლო. ამის შემდეგ პარლამენტის დადგენილების პროექტში ცვლილებები რამდენჯერმე განხორციელდა და კომისიას საკონსტიტუციო ცვლილებების მოსამზადებლად დამატებითი ვადა რამდენჯერმე მიეცა. ბოლო ცვლილებებით, კომისიას საკონსტიტუციო ცვლილებების პარლამენტისთვის წარდგენის ვადა 2016 წლის 29 თებერვლამდე აქვს, თუმცა არც ერთ საკითხზე კომისიაში გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

არსებული ინფორმაციით, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის სხდომა 28 თებერვლისთვის ჩაინიშნა.

**ინტერპრესნიუსი**

# არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის ფაქტები აღკვეთეს



შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის მორიგი ფაქტები გამოავლინეს.

– საბაჟო გამშვებ პუნქტზე „ყაზბეგი“, რუსეთის მოქალაქე მ.კ.-ის კუთვნილი ხელბარგის ეჭვის საფუძველზე დათვალიერების შედეგად, მებაჟე ოფიცრებმა საერთო წონით 109,15 გრამი, 5899,49 ლარის საბაჟო ღირებულების ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს.

იმავე დღეს, ოქროს ნაკეთობების შემოტანის მცდელობა გამოავლინეს საბაჟო გამშვებ პუნქტზე „ნინოწმინდა“. კონტროლის ზონაში სომხეთის რესპუბლიკის მხრიდან შემოვიდა სომხეთის მოქალაქე ა.კ., რომელსაც ეჭვის საფუძველზე ფიზიკური დათვალიერების შედეგად აღმოაჩნდა 61,16 გრამი, 3050,59 ლარის ღირებულების არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები.

ორივე მგზავრს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, სანქციის სახით შეეფარდა ფულადი ჯარიმა, შესაბამისად, 5899,49 ლარისა და 3050.59 ლარის ოდენობით, – ნათქვამია შემოსავლების სამსახურის განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

# თბილისის აეროპორტში სარემონტო სამუშაოების დროს მამაკაცი დაიღუპა

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, ასაფრენ ბილიკზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დროს მამაკაცი დაიღუპა. ინფორმაცია ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაუდასტურდეს. დაღუპული კომპანია Black Sea Group-ის თანამშრომელი იყო, რომელიც შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში სამიმოსვლო ბილიკებისა და ასაფრენი ზოლის რეაბილიტაციის სამუშაოებს აწარმოებს.

არსებული ინფორმაციით, მამაკაცს სარემონტო სამუშაოების დროს სატვირთო მანქანა დაეჯახა. შემთხვევა გუშინ საღამოს მოხდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ლია მუხაშავრია: „ახალი მოსამართლეების დანიშვნაზე მორატორიუმს აზრი უნდა ჰქონდეს“

ნათია ხურცილავა

**სამართლის ექსპერტი, ადვოკატი ლია მუხაშავრია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აფასებს პრეზიდენტის მიერ მოთხოვნილ მორატორიუმს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსადმი, რომელიც ახალი მოსამართლეების დანიშვნას ეხება.**



— მე მოვისმინე პრეზიდენტის მიმართვა, რომ აღნიშნულ პროცესზე ერთგვარი მორატორიუმი გამოცხადდეს, მაგრამ მე არ ვიცი, რამდენად ოფიციალური სახე მიიღო ამ მიმართვამ.

სასამართლოებში მოსამართლეების დიდი დეფიციტი გვაქვს, რომელიც მწვავდება იმ ფონზე, როდესაც 20 თებერვლიდან ძალაში შედის მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის შესახებ კანონის ამოქმედება, რომელიც საჭიროებს მოსამართლეთა გარკვეულ დროს, ასევე სასამართლო დარბაზების ტექნიკურად აღჭურვას და მომზადებას.

ამიტომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ალბათ ჩათვალა საჭიროდ საკითხის ასე სასწრაფოდ გადაწყვეტა, — აცხადებს ლია მუხაშავრია.

***— მოსამართლეებს, რომლებიც დღეს სწორედ ამ ფონზე ინიშნებიან, რისი მოწმეც არის საზოგადოება, სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებს ვგულისხმობ, რამდენად ექნებათ საზოგადოების ნდობა?***

— ამიტომ ვფიქრობ, რომ მორატორიუმი უნდა გამოცხადდეს ისეთი პირობით, რომელიც ამ პროცესს მკაფიოსა და გამჭვირვალეს გახდის. ასევე უნდა ვიცოდეთ, რა გაკეთდება ამ ვადაში, რომ მორატორიუმის გამოცხადებას აზრი ჰქონდეს. ვფიქრობ, რომ მორატორიუმის გამოცხადება მაშინ არის გამართლებული, თუკი საკანონმდებლო ორგანოში მოხდება არსებითი ცვლილებები.

***— რა მიმართულებით?***

— ცვლილებები უნდა მოხდეს საერთო სასამართლოების შესახებ კანონში. ასევე უნდა მოხდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა რაოდენობის იმგვარად დაკომპლექტება და გაზრდა, რომ ის უმრავლესობა, რომელიც იქ შეიქმნა და რომელიც ახდენს ამ საშიშ დანიშვნებს, რის გამოც მორატორიუმის მოთხოვნა გახდა საჭირო, შეიცვალოს.

ეს პროცესი 6 თვეზე მეტხანს გაგრძელდეს. ამიტომ მორატორიუმის გამოცხადება ძალიან კარგად უნდა იყოს გააზრებული და ყველასთან შეთანხმებული, რომ მხოლოდ მორატორიუმი არ შეგვრჩეს ხელში და დრო ტყუილად იყოს გაცდენილი. მორატორიუმის დასრულების შემდეგ ახალი რეალობა უნდა დადგეს, რომელიც უზრუნველყოფს, რომ მოსამართლეთა შერჩევა იქნება გაცილებით სამართლიანი და მისაღები.

***— მოსამართლეების შერჩევის პროცესზე რას იტყვით, თვითონ კონკურსზე?***

— ამ პერიოდში უნდა გამოიკვეთოს ის კრიტერიუმები, თუ როგორ ხდება მოსამართლეების შერჩევა, რაც დღეს ბუნდოვანია და საბჭოს აძლევს თვითნებობის შესაძლებლობას.

ეს, პირველ რიგში, პარლამენტის გასაკეთებელი საქმეა. ამიტომ ეს საკითხი პირველ რიგში პარლამენტთან უნდა იყოს დეტალურად შეთანხმებული. მე, მაგალითად, მოვუწოდებდი არასამთავრობო ორგანიზაციებს, ამ საკითხზე უფრო დეტალურად ემსჯელათ. საუკეთესო იქნება, თუ პრეზიდენტი თავის ინიციატივას მორატორიუმთან დაკავშირებით გაამყარებს თავისი კონკრეტული წინადადებებით, რომელთა ნაწილიც მან გააჟღერა კიდეც პარლამენტში სიტყვით გამოსვლის დროს.

***— რა ნაბიჯი უნდა გადადგას ახლა პრეზიდენტმა?***

— ახლა პრეზიდენტმა კონკრეტული წინადადებები დროში გაწერილი და ჩამოყალიბებული რეკომენდაციების სახით მკაფიოდ უნდა მიაწოდოს შესაბამის უწყებებს, პირველ რიგში, პარლამენტს. მაშინ მორატორიუმის გამოცხადებას აზრი აქვს, რადგან გვეცოდინება, რომ მას შედეგიც მოჰყვება.

***— წინააღმდეგ შემთხვევაში?***

— წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება მხოლოდ პროცესის შეჩერება და გადავადება. მეტიც, გაჭიანურება, რასაც შეიძლება კიდევ უფრო უარესი შედეგი მოჰყვეს. სისტემა ნამდვილად არის მწვავე კრიზისში, ამიტომ საჭიროა გონივრული და გათვლილი მიდგომა. წინააღმდეგ შემთხვევაში კრიზისის დაძლევა შეუძლებელი გახდება.

## დავით უსუფაშვილი: „გოგი თოფაძე ბრძანებს, რომ მას ეს ასე არ უთქვამს“



პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის განცხადებით, „ქართული ოცნების“ კოალიციის ერთიანობა რაიმე განცხადებებზე დამოკიდებული არ არის, ამას გაცილებით უფრო სერიოზული წინაპირობები და საფუძვლები გააჩნია.

აღნიშნულით უსუფაშვილი თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელთან დაკავშირებით დეპუტატ გოგი თოფაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა.

დავით უსუფაშვილის თქმით, როგორც გოგი თოფაძე ბრძანებს, მას თინა ხიდაშელი საგარეჯოს არჩევნების გაყალბებაში არ დაუდანაშაულებია.

— კოალიციის ერთიანობა რაიმე განცხადებებზე დამოკიდებული არ არის. ამას გაცილებით უფრო სერიოზული წინაპირობები და საფუძვლები გააჩნია. რაც შეეხება კონკრეტულ განცხადებას, რომელზეც თქვენ მიმითითებთ, ამის თაობაზე ბატონი თოფაძე ბრძანებს, რომ მას ეს ასე არ უთქვამს. მე ახლა უფრო იმას ველი, რომ ის მედიასაშუალება, რომელმაც ეს ინფორმაცია გაავრცელა, რას გვეუბნება და რითი გვიმტკიცებს, რომ მან ეს თქვა თუ არ თქვა. ვიდრე ეს არ გაირკვევა, იქამდე სხვა ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ, იმიტომ რომ რასთან გვაქვს საქმე, მე ეს ჯერ არ ვიცი, — განაცხადა უსუფაშვილმა.

.........

ერთ-ერთ გაზეთთან ინტერვიუში გოგი თოფაძემ თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი საგარეჯოს არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულა, თუმცა გუშინ განაცხადა, რომ საგაზეთო ინტერვიუში მისი ნათქვამი არასწორად დაიწერა.

**ნიუსპრესი**

## მიხეილ სააკაშვილი: „რუსეთი აგრესიას განაგრძობს“

ოდესის ოლქის გუბერნატორის, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, რუსეთი აგრესიულ ქმედებებს განაგრძობს.




მისი თქმით, სანამ რუსეთის ხელისუფლება არ შეიცვლება, სიტუაცია არ გაუმჯობესდება.

ამის შესახებ სააკაშვილმა მიუნხენში ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. სააკაშვილი მიუნხენში 52-ე უსაფრთხოების კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად იმყოფება.

— რუსეთი ამ დღეებში სირიაში ფართო მასშტაბით სამხედრო დანაშაულს ჩადის. შეუძლებელია ეს არ დაინახო. ბომბავს უამრავ მშვიდობიან ადამიანს. სანამ ეს რეჟიმი იქნება, ეს უბედურებებიც იქნება. საქართველო ერთ-ერთი პატარა ეპიზოდია იმისა, რასაც რუსეთი წლების განმავლობაში აკეთებს, — განაცხადა სააკაშვილმა.

**ნიუსპრესი**

## აფხაზეთი აპრილიდან სავიზო რეჟიმზე გადადის



ოკუპირებული აფხაზეთი იმ ქვეყნების მოქალაქეებისთვის, რომლებიც ოკუპირებულ რეგიონს დამოუკიდებლად არ აღიარებენ, 1-ლი აპრილიდან სავიზო რეჟიმზე გადადის.

ამის შესახებ რუსულ მედიას ე.წ. პარლამენტის ვიცესპიკერმა ვალერი ბგანბამ განუცხადა.

მისი თქმით, სავიზო რეჟიმის დაწესება იმიგრაციის კონტროლის გაძლიერების შესაძლებლობასაც იძლევა.

ბგანბამ ასევე აღნიშნა, რომ გამონაკლისი იქნება ის ქვეყნები, რომლებსაც აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმთან გაფორმებული აქვთ ორმხრივი უვიზო შეთანხმება.

სავიზო რეჟიმი აფხაზეთის ტერიტორიაზე სამუშაოდ ჩასულებსაც შეეხებათ.

— ამ კანონის ერთ-ერთი პუნქტი 2018 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდება, მანამდე კი აფხაზეთის სახელმწიფო საზღვარზე სასაზღვრო-გამშვები პუნქტები თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვება, — განაცხადა ე.წ. რესპუბლიკის დე ფაქტო პარლამენტის სპიკერმა.

აფხაზეთის დამოუკიდებლობას მხოლოდ რუსეთი, ნიკარაგუა, ვენესუელა, ნაურუ, ტუვალუ და ვანუატუ აღიარებენ.

**ნიუსპრესი**

## იან კელი: „აუცილებელია, მედია ღია და ხელმისაწვდომი იყოს“



საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ იან კელის განცხადებით, საელჩო ტელეკომპანია „მაესტროში“ მოვლენების განვითარებას აკვირდება.

მისივე თქმით, მნიშვნელოვანია საქართველოს არჩევნების სამართლიან გარემოში ჩატარება.

— ჩვენი ძირითადი მიზანი გახლავთ ის, რომ უზრუნველვყოთ საქართველოს დემოკრატიის წარმატება. ამისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს არჩევნების სამართლიან გარემოში ჩატარება. აუცილებელია, მედია იყოს ღია და ხელმისაწვდომი საქართველოში მოღვაწე ყველა პოლიტიკური აქტორისთვის, — განაცხადა იან კელიმ.

**ნიუსპრესი**

დასაწყისი მე-5 გვერდზე

## „ნაციონალები პოლიტიკურ კარიერას ფსიქიატრიულში დაასრულებენ“

რძალოსო. რუსული სახელმწიფო არხი, გავიგე, რომ კრემლის პროპაგანდას ეწევა, მაგრამ დაბალანსებული რუსული არხები რატომ უნდა ავკრძალოთ? ერთსქესიანთა ურთიერთობის აყვავებას რომ ხელი შეუშალო, ეს ადამიანის უფლების დარღვევაა და თუ ვიღაცას რუსული ფილმის ყურებაში შეუშლი ხელს, ეს უფლების დაცვაა? კომპანიებს ნაყიდი აქვთ ლიცენზია, რომ ეს არხები გაუშვან და რატომ უნდა ავკრძალოთ? ამ რუსულ არხებზეც იმიტომ ყვირიან, რომ თავიანთი აგენტურული წარსული გადაფარონ და შეფუთონ.

***— რა აგენტურული წარსული უნდა გადაფარონ?***

— ეგ ურცხვები არიან რუსული სპეცსამსახურების პირველი და გამორჩეული აგენტები. მათკენ თითი რომ არ გავიშვიროთ, წინასწარ იღებენ ზომებს და აქეთ გვაბრალებენ რაღაცებს.

სააკაშვილი და მისი გუნდი იყო, არის და იქნება რუსეთის აგენტურა. მათი მმართველობის ხანაში ინვესტორებად სულ რუსები არ შემოჰყავდათ? მაჩვენეთ მათ მიერ შემოყვანილი ამერიკელი ან გერმანელი ინვესტორი. ყველა სტრატეგიული ობიექტი გადაულოცეს მოსკოვს.

***— შეგიძლიათ დაგვისახელოთ ის გერმანელი ან ამერიკელი ინვესტორი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ შემოიყვანა?***

— ძალიან ბევრი შემოვიდა და კიდევ უფრო მეტი შემოვა. ძალიან დიდი პროექტების განხორციელება დაიწყო, ქვეყანა სერიოზულად ვითარდება და ესაა, რომ აგიჟებს ნაციონალებს. სხვა თუ არაფერი, ანაკლიას შევხედოთ, რამხელა რამის გაკეთება იგეგმება.

ამათი დიდი სურვილია, რომ ქვეყანა დაიქცეს და ხალხი შიმშილით დაიხოცოს, რაც არ მოხდება. ამას თავადაც კარგად ხვდებიან და ამიტომ არიან გაგიჟებული. ჩვენ ისე კარგად მიგვყავს საქმე, რომ ესენი ფსიქიატრიულში მოხვდებიან და იქ დაასრულებენ თავიანთ პოლიტიკურ კარიერას.

ჩვენ რომ წარუმატებელი ხელისუფლება ვიყოთ, დამიჯერეთ, ისინი ხმას არ ამოიღებდნენ, იმ პრინციპით იმოქმედებდნენ, გიჟი მიუშვი ნებასა, არ მოგაყენებს ვნებასო. წარმატებული ხელისუფლება რომ ვართ, ამას ვერ ინელებენ და მათი ბოლო ფსიქიატრიულია.

***— გრანდიოზული პროექტები და ანაკლია ახსენეთ. ეს ანაკლია სააკაშვილის იდეა არ იყო? ზოგი ამბობს, ეს კომუნისტების ჩანაფიქრი იყოო.***

— სად იყო სააკაშვილი, რომ ანაკლიაზე მიდიოდა საუბარი. ამათ რომ ჰკითხო, ასოცირების ხელშეკრულება მათი გაკეთებულია. ნატოში როცა შევალთ, ესეც მათი გაკეთებული იქნება. გითხრათ, რა არის მაგათი გაკეთებული? მაგათ გააკეთეს ის ფსევდოარასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ნაციონალებთან ერთად ებრძვიან სახელმწიფოებრიობას.

ზურაბ ხარატიშვილი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი რომ იქნება, არ უნდა გადაირიო? ან სამართალდამცავთა ლიგა რომ აქვთ და იქ ჯალათები არიან გაწევრიანებული. მათგან განსხვავებით, „ქართულ ოცნებას“ არანაირი არასამთავრობო არ შეუქმნია. მათგან განსხვავებით, არც მედიას ვაკონტროლებთ და არ ვაიძულებთ, ხელისუფლების პიარით დაკავდნენ.

***— აბა, რატომ ამბობენ, რომ ხელისუფლებას მაესტროსა და იმედის ხელში ჩაგდება უნდა?***

— გადამრევთ ახლა მე თქვენ! ივანიშვილს ტელევიზია რომ სდომებოდა, მეცხრე არხს გააუქმებდა? თან როგორი სერიოზული რეიტინგი ჰქონდა იმ არხს. კაცი ადგა და დახურა ის არხი, იმიტომ, რომ ხელისუფლების წარმომადგენელი იყო. ის კარგად აცნობიერებდა, რომ ხელისუფლების წარმომადგენელს არ შეიძლება ჰქონდეს ტელევიზია. აი, ესაა დემოკრატია და არა ნაციონალების ბჟუტური. იბჟუტურონ და იყვნენ. ეს მათი ბოლო გაფართხალებაა და არჩევნებამდე როგორმე მოვითმენთ.

***— სერიოზულ პრობლემებს რომ გიქმნიან, ამაზე რას იტყვით? ნაციონალების გარეშე პარლამენტში კვორუმსაც კი ვერ აგროვებთ, რომ სხდომა დაიწყოთ.***

— ეს ჩვენი კი არა, ნაციონალების პრობლემაა. კვორუმის პრობლემა ძირითადად მაშინ იქმნება, როცა დელეგაციები საზღვარგარეთ არიან წასული. ვერ დავუშვებთ, რომ ევროპაში მხოლოდ ჩიორამ და კანდელაკმა იარონ.

***— მხოლოდ ისინი რომ წავიდნენ, რა მოხდება? დეპუტატები არიან, სხვა თუ არაფერი.***

— დეპუტატები არიან და თან როგორი. მაგათ მხოლოდ ერთი სურვილი აქვთ, საქართველოზე საძაგლობები ილაპარაკონ. „ქართული ოცნებიდან“ თუ არავინ გააპროტესტა ეს ამბავი, მთელ მსოფლიოს დაარწმუნებენ, რომ საქართველო დაიქცა.

***— ეს გასაგებია, მაგრამ პარლამენტის სხდომები რომ ცდება? კანონებს რომ ვერ იღებენ?***

— ამაზე არავინ ინერვიულოს. არსებობს რიგგარეშე სხდომები და იქ განვიხილავთ მნიშვნელოვან საკითხებს. არცერთი კანონი მიუღებელი არ დარჩება.

# აშშ რუსეთის მიმართ პოლიტიკას ცვლის

## რა შეიცვალა 2008 წლის საქართველოში განხორციელებული აგრესიის შემდეგ?

მარიამ მჭედლიშვილი





**საქართველოში ისევ ეხმაურებიან აშშ-ის ეროვნული დაზვერვის დირექტორ ჯეიმს კლაპერის განცხადებას იმის შესახებ, რომ საქართველო რუსეთის ზეწოლით დასავლურ ორიენტაციას შეიცვლის. ამაზე შეშფოთების გამოხატვა გრძელდება.**

ეს განცხადება გაკეთდა მსოფლიოში დაძაბულობის ზრდის ფონზე. ამას წინ უძღოდა ანალიტიკოსების პროგნოზები იმაზე, რომ სამხრეთ კავკასიაში გაძლიერდება დაპირისპირება აშშ-სა და რუსეთს შორის გავლენისათვის.

ვაშინგტონის ატლანტიკური საბჭოს თანამშრომელი აგნია გრიგასი ამბობს, რომ დასავლეთი ცვლის თავის დამოკიდებულებას რუსეთის აგრესიული და ავანტიურისტული ქმედებების მიმართ.

– დასავლეთსა და რუსეთს შორის დაძაბულობა ადრეც იყო, მაგალითად, 2008 წლის საქართველოს მოვლენების, ასევე 2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდეგ. მაშინ ყოველი სიტუაცია უნიკალურად განიხილებოდა. ახლა ხდება გარდატეხა რუსეთის პოლიტიკის არსის გაგებაში. ხდება მოვლენების გადაფასება, რომელსაც მივყავართ რუსეთის ამჟამინდელი რეჟიმის უფრო ღრმა გაგებამდე, – აცხადებს ატლანტიკური საბჭოს წევრი.

– რუსეთიდან მომავალი ახალი საფრთხეებისადმი ადაპტირებულია ნატო, – აღნიშნავს ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი.

ამ დღეებში აშშ-ის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა ეშტონ კარტერმა განაცხადა, რომ აშშ-ის უსაფრთხოებისათვის რუსეთი უფრო დიდი საფრთხეა, ვიდრე ისლამური სახელმწიფო. ამას ადასტურებს რუსეთის საომარი მოქმედებები უკრაინიდან სირიამდე. იგივე აღნიშნა ეროვნული დაზვერვის დირექტორმა ჯეიმს კლაპერმა.

ამ საფრთხეებიდან გამომდინარე იგეგმება აშშ-ის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტიც.

ამ პროექტით გათვალისწინებულია სამხედრო ხარჯების ზრდა ევროპაში 200%-ით. ეს ხარჯები რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებებს უნდა მოხმარდეს. ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ საბრძოლველად ხარჯები სულ 50%-ით გაიზრდება.

ასეთი მიდგომის გამო აშშ-ის ადმინისტრაცია ამერიკაშიც გააკრიტიკეს. მაგალითად, გაზეთი „ინტერნეიშენელ ინტერესი“ მიუღებლად მიიჩნევს ისლამური სახელმწიფოსადმი ასეთ ლოიალურ დამოკიდებულებას.

– რადიკალურმა ისლამმა აშშ-ს ომი გამოუცხადა, თავები მოაჭრა ჩვენს მოქალაქეებს, მოაწყო ტერაქტები საერთაშორისო სავაჭრო ცენტრში და თავდასხმა პენტაგონზე, დახოცა ჩვენი მეზღვაურები და ჯარისკაცები ერაყსა და ავღანეთში. მანვე განაცხადა, რომ ქმნის ხალიფატს ხმელთაშუა ზღვიდან კასპიის ზღვამდე.

გაძლიერების შემდეგ ხალიფატი დაიკავებს აშშ-ის მოცულობის ტოლ ტერიტორიას. მას ექნება ბირთვული იარაღი, – წერს ამერიკული მედია.

აშშ-ის მიმართ მეტად ანტაგონისტური გახდა რუსეთიც. რუსეთის პოლიტოლოგი სერგეი კურგინიანი აცხადებს, რომ ისლამური სახელმწიფოს უკან აშშ დგას.

– ჩვენ ამერიკას არ ვებრძვით. ჩვენ ვამბობთ, რომ ახლანდელი ამერიკული სტრატეგია ანტირუზველტურია. ის იყენებს ბოროტების ძალებს ანუ ახალ ფაშიზმს ამერიკული მსოფლიო ბატონობისათვის, – აღნიშნავს რუსი პოლიტოლოგი.

იგი აღნიშნავს, რომ მსოფლიოს უმსხვილესმა მოთამაშეებმა უნდა შეიმუშაონ ერთობლივი სტრატეგია ეროვნული სახელმწიფოების შესანარჩუნებლად. რუსეთის მოთხოვნით უნდა მოხდეს რუსეთის ინტერესების გათვალისწინება.

# დავით უსუფაშვილი: „მოსამართლეთა დანიშვნა ახლა უკიდურესად მნიშვნელოვანია“

პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის აზრით, მოსამართლეთა დანიშვნა ახლა უკიდურესად მნიშვნელოვანია.

ამ კონტექსტში პარლამენტის თავმჯდომარე ყურადღებას იმ გარემოებაზე ამახვილებს, რომ 20 თებერვლიდან ძალაში მოწმეთა დაკითხვის ახალი წესი შედის, როდესაც მოწმეთა დაკითხვა მოსამართლესთან უნდა მოხდეს.

უსუფაშვილის თქმით, გამომძიებლებს, პროკურორებს ფიზიკურად მოსამართლეები უნდა დახვდნენ, რათა მათ დაკითხვის პროცედურა ჩაატარონ.

– სასამართლო სისტემის რეფორმა მიმდინარე პროცესია. მომავალ კვირას ჩვენ რეფორმის მესამე ტალღად წოდებულ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს განვიხილავთ, რომელიც ძალიან ბევრი მიმართულებით მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

არ მგონია, რომ ეს მესამე ტალღა საბოლოო ტალღა იქნება. სისტემას კიდევ სჭირდება სრულყოფა, ისევე როგორც ყველა სხვა მიმართულებას – მათ შორის პარლამენტზეც ბევრს ვფიქრობთ და ვთვლით, რომ ჩვენ გვჭირდება სრულყოფა.

ამიტომ, თუ იქნება კონკრეტული წინადადებები იმის თაობაზე, როგორ გავაუმჯობესოთ სასამართლო სისტემის ეფექტურობა, როგორ გავზარდოთ ნდობა, როგორ გავხადოთ ინდივიდუალური მოსამართლე დამოუკიდებელი ყველასგან – ჩემგანაც, თქვენგანაც და მათივე საკუთარი საბჭოსგან, სასამართლოს თავმჯდომარეებისგან და ასე შემდეგ, ეს არის ამოცანა.

ამ ამოცანის შესაბამისი ინიციატივები პარლამენტამდე თუ მოვა, ჩვენ ძალიან დიდი ყურადღებით განვიხილავთ. მანამდე ჩვენც და სასამართლოებიც, მოქმედი კანონმდებლობის ჩარჩოებში მოქმედებენ.

არსებობს იუსტიციის საბჭო, რომელიც დაკავებულია თავისი საქმის კეთებით. რაც შეეხება ახლა მოსამართლეები უნდა დაინიშნონ თუ არ დაინიშნონ და სწრაფად თუ არა სწრაფად, აქ მე მოვისმინე სხვადასხვა მოსაზრებები, საკონსტიტუციო სარჩელი და ასე შემდეგ.

ახლა მოსამართლეების დანიშვნა რატომ არის უკიდურესად მნიშვნელოვანი? იმიტომ, რომ 20 თებერვლიდან ძალაში შედის მოწმის დაკითხვის ახალი სისტემა, როდესაც გამომძიებელმა, პროკურორმა მოწმე უნდა მიიყვანოს ფიზიკურად მოსამართლესთან და რომ მიიყვანოს, იქ უნდა დახვდეს მოსამართლე, რომელმაც დაკითხვის პროცედურა უნდა ჩაატაროს.

მოგეხსენებათ, სასამართლოები მიმდინარე საქმეებით უკიდურესად გადატვირთულია. ზოგ მოსამართლეს ასობით საქმე აწევს მხრებზე. რომ არ გამოვიდეს ისე, რომ ჩვენ პროკურატურა და პოლიცია, სათანადო სისტემის გარეშე გავტოვოთ, აუცილებელი გახდა სასწრაფო წესით მოსამართლეთა დანიშვნა.

ვაკანსიები, რომელიც სასამართლო სისტემაში არსებობდა, მათი შევსება ამისთვის უკიდურესად აუცილებელია, – განუცხადა დავით უსუფაშვილმა ჟურნალისტებს.

მისივე ინფორმაციით, მოსამართლეების უდიდესი ნაწილი, ვის დანიშვნასა და არჩევაზეც არის საუბარი, სწორედ აღნიშნული სისტემისთვის არის საჭირო.

– უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, იუსტიციის საბჭომ, ძალიან დიდი მუშაობა გასწია ამ თვენახევრის განმავლობაში, კანონი, მოწმის დაკითხვის ახალ წესთან დაკავშირებით პარლამენტმა დეკემბრის ბოლოს მიიღო.

ის ძალაში იანვრის დასაწყისში შევიდა, ხოლო სისტემა 20 თებერვლიდან ამოქმედდება. აი ამ თვენახევრის განმავლობაში, საჭირო იყო შენობის მოძებნა, სადაც დაკითხვები ჩატარდება.

ეს შენობა მოძებნილია, მიმდინარეობს აღჭურვა და დასრულდება. კიდევ ვიმეორებ, საჭიროა კონკრეტული ადამიანები, მოსამართლეები, რომლებსაც სპეციალური ტრენინგი ჩაუტარდებათ და ეს მოსამართლეები ჩვენ გვჭირდება არა მხოლოდ თბილისში, არამედ რეგიონებშიც.

ამიტომ ახლა პროცესის შეჩერება მანამდე, სანამ რამე სხვას არ მოვიფიქრებთ, როგორ იმართებოდეს სისტემა, სწორი არ იქნება, – აცხადებს უსუფაშვილი.

**ინტერპრესნიუსი**

# „ბოლო 26 წლის განმავლობაში რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ იბრძვის“

## რა შედეგები მოაქვს რუსულ პროპაგანდას საქართველოში

გულიკო ბალაძე

**საქართველოში რუსული პროპაგანდის გაძლიერებასა და საფრთხეებზე დასკვნები ამერიკის დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელმა ჯეიმს კლეპერმა სენატში წარადგინა. ტარიელ ფუტკარაძე „ახალ თაობას" ამ და სხვა საკითხებზე ესაუბრა.**

***– ბატონო ტარიელ, რას იტყვით საქართველოში რუსული პროპაგანდის გაძლიერებაზე, რაზეც ამერიკის დაზვერვის სამსახურის უფროსი საუბრობს? რუსული პროპაგანდა წარმატებულია?***

– ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ რუსეთის საინფორმაციო ომი წარუმატებელია. ზოგი რუსული საინფორმაციო ომის ერთ-ერთ გამოვლენად ასახელებს პრორუსულ ქუჩურ სიმღერებს. გაცილებით არსებითი ფაქტებია, რომლებიც ცხადყოფენ წლების განმავლობაში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ წარმოებული საინფორმაციო ომის საშიშროებას.

***– თქვენ რას გულისხმობთ?***

– რუსული პროპაგანდის შედეგია რუსეთის მიერ საქართველოს მეოთხედის ოკუპაციის შენიღბვა ე.წ. ქართულ-რუსულ და ქართულ-აფხაზურ ეთნოკონფლიქტებად. სწორედ რუსული პროპაგანდის შედეგია საქართველოში ე.წ. ბოდიშის კამპანიის წარმოება და ქართულ-აფხაზურ თუ ქართულ-ოსურ შერიგებაზე ლაპარაკი.



***– ცხადია, დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან და მანამდეც რუსული პროპაგანდა თავის უარყოფით როლს ასრულებდა საქართველოს ცხოვრებაში. რა გასაკვირია, რომ ახლაც ძლიერი იყოს რუსული პროპაგანდა.***

– ბოლო 26 წლის განმავლობაში რუსეთი ქართველების, საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდა და ამ ბრძოლაში გამოიყენა ქართველთა, აფხაზთა, ოსთა, სომეხთა ნაწილი. ქართველებს არ გვქონია ეთნოკონფლიქტები. ეს იყო რუსეთის მიერ საქართველოს დასჯა დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო.

***– საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ხელისუფლების დამხობაც რუსული პროპაგანდის სიძლიერის შედეგია.***

– დიახ. რუსული პროპაგანდის შედეგია საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის მონათვლა სამოქალაქო ომად. ამ პროცესში რუსეთმა სწორედ იმ ტიპის ადამიანები გამოიყენა, რომლებიც ახლა აქტიურად საუბრობენ ამ საკითხზე და თითქოს აანალიზებენ. ამას ადასტურებს, მაგალითად, ბათიაშვილის წერილი „მანკიერი წრე“.

***– რუსული პროპაგანდა იგრძნობოდა იმავე 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში და იმის შემდეგაც.***

– დიახ, რუსულმა პროპაგანდამ ბევრი საერთაშორისო ექსპერტი დააბნია.

***– კონკრეტულად ვინმეს გულისხმობთ?***

– მათ შორის არიან, მაგალითად, ტალიავინი და სხვები, რაც ჩანს აგვისტოს ომის შესახებ „ფაქტების დამდგენი კომისიის“ დასკვნაში.

რუსული პროპაგანდის შედეგია ქართველი ერის მიჩნევა „არშემდგარ ერად“ და ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკურად დანაწევრებულად აღქმა. ასევე ეთნონიმ „თურქი მესხის“ დამკვიდრება, ზოგადად, ამ თემის ანტიქართული კონტექსტი.

***– არა მხოლოდ რუსეთის მოძალება იგრძნობა საქართველოში.***

– სხვათა შორის, რუსეთისა და თურქეთის, ასევე ამერიკის, ევროპის, ბოლოს კი ევრაზიის კავშირისა და ევროკავშირის ერთ რანგში წარმოჩენაც საქართველოს ბევრი მოქალაქის თვალში რუსული პროპაგანდის შედეგია.

***– ცოტა ხნის წინ საქართველოს ეკლესიის პრორუსულობაზე ალაპარაკდნენ. თქვენ როგორ უყურებთ ამ საკითხს, ესეც რუსულ პროპაგანდას უკავშირდება?***

– დიახ, რუსული პროპაგანდის შედეგია საქართველოს ეკლესიისათვის პრორუსულობის დაბრალებაც. რუსული პროპაგანდა ბევრი ქართველის თვალში დასავლეთს „სოდომ-გომორის სამყაროდ“ წარმოადგენს, რაც დასავლეთისადმი ნდობის კლებას განაპირობებს.

***– დასავლეთი როგორ პასუხობს რუსულ პროპაგანდას საქართველოში?***

– დასავლეთი დღემდე დაგვიანებულად პასუხობს რუსულ პროპაგანდას. არა მხოლოდ რუსულმა პროპაგანდამ, არამედ საქართველოს პროდასავლურ არჩევანზე დასავლეთის დაგვიანებულმა, არაადეკვატურმა პასუხმა გამოიწვია, რომ რუსეთმა დაგვსაჯა 2008 წლის აგვისტოს ომით.

***– მომავალში რა გველოდება?***

– წინ რა გველის კიდევ, ღმერთმა იცის.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# რევოლუციური ცვლილებები, სოლიდური შეღავათები

## ბიზნესი მთავრობის საგადასახადო რეფორმას აფასებს




რევოლუციური ცვლილებები, სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯები, სოლიდური შეღავათები – ასე აფასებს ბიზნესსექტორი საგადასახადო რეფორმას, რომელიც მთავრობამ 11 თებერვალს დაამტკიცა და რომელიც რამდენიმე მიმართულებით შეღავათების დაწესებას და სხვადასხვა ტექნიკური დეტალის ცვლილებებს ითვალისწინებს.

საგადასახადო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებებით, მოგება დაიბეგრება მხოლოდ დივიდენდის განაწილების შემთხვევაში;

კომპანია, რომელიც ძირითად საშუალებებს იყენებს დამატებული ღირებულების გადასახადით დასაბეგრ ოპერაციებში, ძირითადი საშუალების იმპორტისას აღარ გადაიხდის დღგ-ს თანხას;

საგადასახადო დავის პერიოდში პირის საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება განხორციელდება მხოლოდ სასამართლოს თანხმობით;

საგადასახადო შემოწმებას განახორციელებს მხოლოდ საგადასახადო ორგანო.

* * *

„კომერსანტმა" ცვლილებების შეფასება ბიზნესის წარმომადგენლებს სთხოვა.

„ისთ გეით ჯგუფის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი იაშვილი ცვლილებათა პაკეტში ყველაზე მნიშვნელოვნად მოგებისა და დღგ-ს გადასახადში დაწესებულ შეღავათებს მიიჩნევს.

– ყველაზე სერიოზულად მოგების გადასახადის გადახედვა მიმაჩნია, რადგან ბიზნესის განვითარებისთვის განსაკუთრებით ამ კრიზისში, რაც საქართველოშია, ყველაზე წინგადადგმული ნაბიჯი ეს არის. დანარჩენი უფრო ტექნიკური საკითხებია. ყადაღის დადება-არდადება რადიკალურად ბიზნესგარემოს არ ცვლის. მოგების გადასახადი და ბიზნესში ამხელა ფულის ჩატოვება, სერიოზული მოტივაციის მიცემა რეინვესტირებისთვის – ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯებია, – აცხადებს იაშვილი.

მისივე თქმით, მნიშვნელოვანია შეღავათები დღგ-ს ნაწილში. ძირითად საშუალებებზე დღგ-ს შეღავათი ადრე არსებობდა, თუმცა, გაუქმდა და ახლა ისევ ბრუნდება.

იაშვილი ამბობს, რომ ეს ცვლილებები 1-3 წელში უკუგებას მოგვცემს.

საგადასახადო კოდექსში მომზადებულ ცვლილებებს რევოლუციურად აფასებს და მიესალმება „საქართველოს ბიზნეს ასოციაციაც".

ორგანიზაციაში მიიჩნევენ, რომ დაგეგმილი საგადასახადო რეფორმები მკვეთრად გააუმჯობესებს ქვეყნის საგადასახადო და ბიზნეს გარემოს მიმზიდველობას არამხოლოდ ადგილობრივი ბიზნესისათვის,არამედ უცხოელი ინვესტორებისთვისაც.

– განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საგადასახადო გარემოს რადიკალური გაუმჯობესებისაკენ მიმართული ეს რეფორმები საქართველოს ახალი პრემიერ მინისტრის უშუალო ძალისხმევითა და ინიციატივით იღებს სტარტს, რაც მომავალში კიდევ არაერთი აუცილებელი, საგადასახადო თუ ეკონომიკური რეფორმის განხორციელების იმედს იძლევა, – აცხადებენ ბიზნეს ასოციაციაში.

„თეგეტა მოტორსის" გენერალური დირექტორი გიორგი მშვილდაძეც აცხადებს, რომ საგადასახადო ცვლილებები განსაკუთრებულად დადებითად იმ კომპანიებზე აისახება, რომლებიც დიდ პროექტებს ახორციელებენ.

– ყველა კომპანიისთვის და მისი შეუფერხებელი მუშაობისთვის კარგია, რომ საგადასახადო ამოწმებს და არა – ფინანსური პოლიცია. თანამშრომლები მაინც გარკვეულ სტრესს განიცდიან, როცა ფინანსური პოლიცია შემოდის და ილუქება ყველაფერი.

მეორე მხრივ, მოგების გადასახადზე შეღავათები ძალიან დადებითად აისახება კომპანიებზე, რადგან ეს დიდი თანხაა. მათ ექნებათ საშუალება, რომ ეს თანხა ისევ ბიზნესში ჩააბრუნონ. გარდა ამისა, დღგ-სგან გათავისუფლებაც ძალიან დადებითია, რადგან თანხები ამ შემთხვევაშიც ძალიან დიდია,– აცხადებს გიორგი მშვილდაძე.

* * *

საგადასახადო კოდექსში ცვლილებებს მთავრობა უახლოეს დღეებში საკანონმდებლო ორგანოს გადაუგზავნის. მოგების გადასახადის ახალი წესით ამოქმედება მიმდინარე წლის 1 ივლისიდან უნდა მოხდეს.

**სალომე მეცხვარიშვილი,**
**კომერსანტ.გე**

# უსაფრთხოა თუ არა ხორცი, რომლითაც ვიკვებებით

გავრცელებული ინფორმაციით, თბილისის შემოგარენში წვრილფეხა პირუტყვის (ცხვარი, თხა) ჭირით დაავადების ფაქტები გამოვლინდა და მომხმარებელი მისი შეძენისაგან დაცული არც სუპერმარკეტებში არ არის.

როგორია შანსი იმისა, რომ დაავადებული ხორცი მსხვილი სუპერმარკეტების დახლებზე მოხვდეს და საერთოდ, რამდენადაა შესაძლებელი, რომ დაავადება ადამიანზე რამე გზით გადავიდეს?

საკითხით „ბიზნესპრესნიუსი" დაინტერესდა.

როგორც მეცხვარეთა ასოციაციის წევრი ბექა გონაშვილი ჩვენთან საუბარში აცხადებს, ცხვრის ჭირი არის დაავადება, რომელიც არანაირი გზით არ გადადის ადამიანზე და მხოლოდ წვრილფეხა პირუტყვზე ვრცელდება.

– არათუ ადამიანზე, მსხვილფეხა რქოსანზეც კი არ გადადის. თუ ასეთი გენიოსები არიან, ის მაინც ნახონ, როგორია ამ დაავადების გავრცელება, ან რა გამოვლინებები ახასიათებს მას. ეს ჭირი მხოლოდ მეცხვარეების თავს დამტყდარი პრობლემაა, რადგან ამის გამო, შესაძლოა, რომ ცოცხალი პირუტყვის ექსპორტის შესაძლებლობა შეგვეზღუდოს, რაც დიდ ფინანსურ ზარალს გამოიწვევს, – აღნიშნავს გონაშვილი.

მისი თქმით, საქართველოს მარკეტებში ცხვრის რეალიზება ისედაც ძალიან მცირე, მიზერული რაოდენობით ხდება და დამატებით კონტროლს გადის. შესაბამისად, ეს ხორცი არავითარ შემთხვევაში არ არის საზიანო ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

– იმის მტკიცება, რომ დაავადებული ცხვრის ხორცი ხვდება მსხვილ მარკეტებში და ის საზიანოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის, არის სრული სისულელე და საქმეში ჩაუხედავი ადამიანის განცხადება, – აღნიშნავს მეცხვარეთა ასოციაციის წევრი.

* * *

„ბიზნესპრესნიუსი" ინფორმაციის გადასამოწმებლად მსხვილ სუპერმარკეტებსაც დაუკავშირდა.

როგორც „სმარტის" პროდუქტის ხარისხის კონტროლის მენეჯერმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, ქსელში ხორცის მომწოდებლის შერჩევა მხოლოდ სპეციალური აუდიტის საფუძველზე ხდება.

– დღესდღეობით მხოლოდ სამ მომწოდებელთან გვაქვს დადებული კონტრაქტი. მაღაზიაში მოხვედრამდე ხორცი დაავადების ნიშნების გამოსარიცხად ხარისხის კონტროლის რამდენიმე საფეხურს გადის. დამატებით კი, „სმარტის" ვეტერინარული სამსახური ხორცს სპეციალურ მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიაში ამოწმებს, – აღნიშნა ხარისხის კონტროლის მენეჯერმა.

როგორც „გუდვილის" ხარისხის სამსახურის უფროსმა ლევან ჩიტეიშვილმა განაცხადა, მაღაზიათა ქსელში ხორცი სპეციალური სერთიფიკატის, ფორმა ორის თანხლებით შემოდის.



– ნებისმიერი ტიპის ხორცი დახლზე მოხვედრამდე დამატებით კონტროლს ვეტერინალურ-სანიტარულ ლაბორატორიაში გადის და მოწმდება. ალბათობა იმისა, რომ ჩვენს სუპერმარკეტში დაავადებული ხორცი შეიძლება გაიყიდოს, არ არსებობს, – აცხადებს ლევან ჩიტეიშვილი.

**ქრისტინე გამთენაძე, ბიპიენი**

# „შეუძლებელია, ონლაინ სესხებზე 400%-იანი განაკვეთი იყოს"

## ინტერვიუ ონლაინ სესხების ასოციაციის თავმჯდომარე დავით კიკვიძესთან

***– რა არის ონლაინ სესხების ასოციაციის შექმნის მიზანი, რა საკითხებზე აპირებთ მუშაობას?***

– დღეს საქართველოში დიდი ნეგატივია წამოსული ონლაინ სესხების კომპანიების მიმართ. ეს ნეგატივი ხშირ შემთხვევაში გაუაზრებელია, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ აღიქვამს სრულფასოვნად ამ პროდუქტის რეალურ არსს. იქიდან გამომდინარე, რომ ბევრი ითხოვს, რომ ონლაინ სესხების საქმიანობა იყოს რეგულირებული, ჩვენი მიზანია, სარეკომენდაციო, სარეგულაციო პაკეტი შევიმუშაოთ.

***– ვინ შეიძლება იყოს ონლაინ სესხების ბაზრის რეგულატორი – ეროვნული ბანკი თუ რომელიმე სხვა უწყება?***

– ამას ალბათ ამ ეტაპზე არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, პაკეტი იყოს სრულფასოვანი და სწორი. ჩემი აზრით რადგან ეს ორგანიზაციები ფინანსური სექტორის მოთამაშეები არიან, ალბათ უფრო ეროვნული ბანკი შეიძლება იყოს ინიციატორი, რომ წამოჭრას საკითხი სარეგულაციო პაკეტთან დაკავშირებით.

***– უნდა დაწესდეს თუ არა საპროცენტო განაკვეთების ზღვარი?***

– საუბარი რთულია, რა უნდა დარეგულირდეს – საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი, ქვედა ზღვარი, მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა თუ სხვა. პაკეტი უნდა იყოს ისე შემუშავებული, რომ ორგანიზაციებს ბიზნესი არ შეეზღუდოთ.

***– რა სეგმენტზეა გათვლილი ონლაინ სესხების კომპანიების პროდუქტი?***

– პროდუქტი ყველა სახის სეგმენტზეა. შეიძლება სესხი აიღოს მაღალშემოსავლიანმაც და დაბალშემოსავლიანმაც. მთავარი პრინციპი არის „მასესხე ხელფასამდე". ბევრს აქვს ისეთი შემთხვევა, რომ მოკლევადიან პერიოდში ფინანსური სირთულეების გამო მეგობრისგან თანხის სესხება უწევს, ამ პრაქტიკის ჩანაცვლება არის ონლიან სესხი.



უნდა გამოვიყენოთ თანხა, რომ მოკლე ვადაში ფინანსური სირთულეები დავაკმაყოფილოთ და ეს თანხა დავაბრუნოთ. ხშირად მოქალაქეები ამ თანხას იღებენ ძალიან გაუაზრებლად, ზოგი კაზინოში სათამაშოდ, ძვირფასი ნივთის საყიდლად, რაც გაუმართლებელია.

აქ კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხი ჩნდება, სესხი არ უნდა გასცეს ისეთ პირზე, რომელსაც არ შეუძლია მისი დაბრუნება, ონლაინ სესხების აღება ძალიან მარტივია.

***– ეს საკითხი ძალიან აქტუალურია, არის კითხვები – ყველას რატომ ვაძლევთ სესხს?***

– ეს ისეთი სახის პროდუქტია, რომელიც უზრუნველყოფას არ მოითხოვს და ამაში მდგომარეობს პროდუქტის დადებითი მხარე, როცა გჭირდება, შეგიძლია ისარგებლო დამატებითი საბუთების გარეშე. ჩვენი ორგანიზაციის წევრების საქმიანობა აგებულია მაღალი დონის ტექნოლოგიებზე. აქვთ „სქორინგის" სისტემები და მაქსიმალურად ხდება რისკების გათვალისწინება, რომ სესხი არ გაიცეს არამიზნობრივ სეგმენტზე, საბოლოო ჯამში რისკ ფაქტორის 100%-ით გათვლა შეუძლებელია. თუმცა ჩვენი ორგანიზაციები ცდილობენ, რისკები უმაღლეს დონეზე გაითვალისწინონ და დააფინანსონ გადახდისუნარიანი მოქალაქეები.

***– ონლაინ სესხების ბაზარზე დღეს სულ რამდენი კომპანიაა?***

– დაახლოებით 30 კომპანიაა, რომელთა უმრავლესობას მეც კი არ ვიცნობ. კომპანიები, რომლებიც რაღაც ღირებულებებზე ფუნქციონირებენ, ძალიან ცოტაა და მათ შორის არიან ჩვენი ასოციაციის წევრები.

– გაზეთმა „ბანკები და ფინანსები" ამ თემაზე გამოკითხვა ჩაატარა, შედეგების მიხედვით, უმრავლესობა ასეთი კომპანიების საქმიანობის აკრძალვას ითხოვს, სტატიაში ასევე საუბარი იყო მაღალ საპროცენტო განაკვეთებზე, რომ რეალურად რეკლამირებული 0%-იანი განაკვეთები წლიურად 400% და 800%-იანი სესხია.

– „ბანკები და ფინანსების" სტატიაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, არ მიმაჩნია, რომ ეს სტატია რეალობას გამოხატავს. სტატია დაწერილია იმ მიმართულებით, რომ ხალხმა მხოლოდ ნეგატივი დაინახოს.

რეალურად, უნდა შევხედოთ განაკვეთებს არა წლიური, არამედ ყოველთვიური გათვლით. პროდუქტი არის მოკლევადიანი და ფიზიკურად შეუძლებელია, ონლაინ სესხებზე 400% და მეტი განაკვეთი იყოს.

იგივე საბანკო კრედიტები რომ ავიღოთ, მაგალითად, იპოთეკური სესხი, რომელიც წლიურად 9%-ია, გამოდის, რომ 10 წლის საპროცენტო განაკვეთი 90% -ია, რაც არასწორი დათვლაა. საპროცენტო განაკვეთი უნდა დაითვალოს ერთ თვეზე, რადგან ერთი თვით ხდება სესხის აღება. ჩვენი ორგანიზაციის წევრების განაკვეთები, რომლებიც ცივილიზებულ ორგანიზაციებს წარმოადგენენ, 0-15%-ის ფარგლებში მერყეობს, რაც მისაღებია და საერთაშორისო სტანდარტია. ანალოგიური პირობებით მოქმედებენ კომპანიები ლატვიაში, ლიტვაში, დანიაში, ესპანეთსა და ამერიკაში.

ამერიკის მხოლოდ რამდენიმე შტატშია გაუქმებული ონლაინ სესხების კომპანიების საქმიანობა. დანარჩენ შტატებში მოქმედებენ კანონის ფარგლებში.

**სალომე სოსელია,**
**კომერსანტ.გე**

# კახა კალაძე: „აფხაზებისთვის ელექტროენერგიის მიწოდება, შესაძლოა, ვერ შევძლოთ"

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, ვიცე-პრემიერის კახა კალაძის განცხადებით, არსებობს საშიშროება იმისა, რომ აფხაზეთისთვის ელექტროენერგიის მიწოდება ვერ მოხერხდეს.



აღნიშნულით კალაძე აფხაზურ მედიაში გავრცელებულ იმ ინფორმაციის გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც, „ენგურჰესის" წყალსაცავში წყლის დონის კლების გამო აფხაზეთს ელექტროენერგიის გარეშე დარჩენა ემუქრება.

კალაძის თქმით, ამის შესახებ აფხაზები ინფორმირებულები არიან.

– შემიძლია ვთქვა, რომ დაახლოებით 2 კვირის მარაგია ელექტროენერგიის, რომელიც მიეწოდება აფხაზეთს და არის საშიშროება იმისა, რომ მათთვის ელექტროენერგიის მიწოდება ვერ შევძლოთ. ეს ინფორმაცია მათთვის მიწოდებული გვაქვს. ერთობლივად ვმუშაობთ იმისთვის, რათა ეს პრობლემა რაიმე გზით იქნას მოგვარებული და რომ ისინი შუქის გარეშე არ დარჩნენ, – განაცხადა კახა კალაძემ.

აფხაზური მედიის ინფორმაციით, ჰიდროელექტროსადგურზე 25 იანვრიდან 15 აპრილამდე დროებითი გათიშვის სისტემა ამუშავდა.

**ნიუსპრესი**

სპორტი

# გარეტ ბეილი რომასთან პირველ მატჩს გამოტოვებს



მადრიდის რეალი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის პირველ შეხვედრას დანაკლისით ხვდება. სამეფო გუნდის ერთ-ერთმა წამყვანმა მოთამაშემ გარეტ ბეილმა ჯერჯერობით ტრავმა ვერ მოირჩინა და რომასთან მისი თამაში გამორიცხა.

რომა რეალს საკუთარ მოედანზე 17 თებერვალს მიიღებს და ეს შეხვედრა საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს, თუმცა რეალი უპირობო ფავორიტია.

რაც შეეხება ბეილს, ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის მოახერხებს უელსელი ფორვარდი მოედანზე დაბრუნებას და არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ბეილმა ატლეტიკოსთან მატჩიც გამოტოვოს, რომელიც 27 თებერვალს სანტიაგო ბერნაბეუზე გაიმართება.

ბეილმა ტრავმა 17 იანვარს ხიხონის სპორტინგის წინააღმდეგ შეხვედრაში მიიღო.

# პსჟ ნეიმარს ზღაპრულ ხელფასს სთავაზობს



ნეიმარმა და ბარსელონამ ახალი კონტრაქტის თაობაზე შეთანხმებას ჯერ ვერ მიაღწიეს, რაც სხვა გუნდებს იმედს აძლევს, რომ ბრაზილიელი სუპერ ვარსკვლავის გადაბირება შესაძლებელია.

ყველას კარგად მოეხსენება იმის შესახებ, რომ რეალს დიდი სურვილი აქვს, ნეიმარი თავის რიგებში იხილოს, თუმცა თვითონ ნეიმარი კატეგორიულად უარყოფს რაიმე კავშირს სამეფო კლუბთან.

გარდა რეალისა, ასპარეზზე გამოჩნდა ფრანგული პსჟ, რომელიც ნეიმარს ხელფასის სახით წელიწადში 40 მილიონ ევროს სთავაზობს.

ნეიმარს ბარსელონასთან 2018 წლამდე აქვს კონტრაქტი გაფორმებული და მისი გამოსასყიდი თანხა 190 მილიონ ევროს შეადგენს.

თვითონ ფეხბურთელი პსჟ-სთან დაკავშირებულ ჭორებზე კომენტარს არ აკეთებს.

# ანდრეი შევჩენკო უკრაინის ნაკრებში იმუშავებს



ლეგენდარული უკრაინელი ფეხბურთელი ანდრეი შევჩენკო თავისი ქვეყნის ნაკრებში იმუშავებს. ის უკრაინის ეროვნული გუნდის ერთ-ერთი თავკაცი იქნება და არ არის გამორიცხული, მომავალში მთავარი მწვრთნელის პოზიციაზეც მოგვევლინოს.

თავის პოსტს ანდრეი ოფიციალურად 16 თებერვალს დაიკავებს.

შევჩენკომ კარიერა რამდენიმე წლის წინ დაასრულა და უკრაინის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო. 2004 წელს მან ოქროს ბურთის მოგებაც შეძლო, ხოლო 2003 წელს კი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა.

წლების მანძილზე შევჩენკო საქართველოს ამჟამინდელი ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის თანაგუნდელი იყო მილანში და მათ ერთად ბევრი ტიტული მოიპოვეს.

# ლუკას ჰუფნაგელმა ტრავმა მოიშუშა



გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში მოთამაშე ფრაიბურგის ქართველმა ნახევარმცველმა ლუკას ჰუფნაგელმა ტრავმა მოირჩინა და ის სათამაშოდ მზად არის.

სავარაუდოდ, ის ფრაიბურგის შემდეგ შეხვედრაში ფორტუნასთან ძირითად შემადგენლობაში იქნება.

ჰუფნაგელი 22 წლის არის და ის პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება. მისი გუნდი ფრაიბურგი 38 ქულით მეორე ადგილზეა, რაც ბუნდესლიგაში აღზევების საშუალებას იძლევა. ასე რომ, არ არის გამორიცხული, მომავალ სეზონში ჰუფნაგელი ბუნდესლიგაშიც ვიხილოთ.

შეგახსენებთ, რომ გერმანიის ჩემპიონატში უკვე არის ქართველი ფეხბურთელი გიორგი პაპუნაშვილი, რომელიც ვერდერში ირიცხება, თუმცა მას მოედანზე ჯერჯერობით არცერთი წუთი არ გაუტარებია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

# ირაკლი ფირცხალავა: „ბადრი კოჭლამაზაშვილმა მიიღო გარანტია, რომ მოსამართლედ დარჩება“



— ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმის მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილმა თანხის აღების შემდეგ გამამტყუნებელი განაჩენისთვის პროკურატურის მაღალჩინოსნისგან მიიღო გარანტია, რომ ვადის ამოწურვის მიუხედავად, მოსამართლედ დარჩება, — ამის შესახებ განცხადება ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმეზე ერთ-ერთმა ბრალდებულმა ირაკლი ფირცხალავამ სააპელაციო სასამართლოში გააკეთა.

ფირცხალავა აცხადებს, რომ პროკურატურის მაღალჩინოსნის ვინაობას, რომელიც ბადრი კოჭლამაზაშვილს მოსამართლედ დარჩენის გარანტიას აძლევს, ვერ დაასახელებს.

ფირცხალავამ აღნიშნა, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ორშაბათს მიმართავს აღნიშნული მოსამართლის წინააღმდეგ. მან მედიას მოუწოდა დაესწროს საჩივრის შეტანას, სადაც ბრიფინგი გაიმართება.

ირაკლი ფირცხალავა:

— როგორც ვიცი, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეთა დანიშვნა დაიწყო. ვიცი, რომ კოჭლამაზაშვილს ამ თვეში უწყდება უფლებამოსილება და პროკურატურის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა მას მისცა გარანტია, რომ გააგრძელებს საქმიანობას. ეს ის მაღალჩინოსანია, რომლის ვინაობას არ დავასახელებ და რომლისგანაც კოჭლამაზაშვილმა გამამტყუნებელი განაჩენის სანაცვლოდ აიღო ის თანხა, რითაც კრედიტი დაფარა.

თანხასთან დაკავშირებით ძიება მიმდინარეობს, რომელსაც ამ დრომდე შედეგი არ მოჰყოლია. იმედი გვაქვს, რომ რეაგირება მოხდება და ამოიღებენ იმ საკრედიტო ბარათს, რომელზეც, როგორც კოჭლამაზიშვილი იძახის, ხელფასი ერიცხება და რომლიდანაც მან კრედიტი დაფარა.

მანვე აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმეზე მიიღო განაჩენი, საიდანაც 41 ფურცლიდან 40 ანგარების გამოა დაწერილი.

— განაჩენში იმდენი აბსურდია, რომ ვერ იპოვით ადამიანს, ვინც დაიჯერებს მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილის რომელიმე არგუმენტს“, — განაცხადა ირაკლი ფირცხალავამ.

ინტერპრესნიუსი

# ალექსი ბატიაშვილის ჩვენებით „კაბელების საქმეს“ საბოლოოდ დაესვა წერტილი

— არც ერთ დოკუმენტში, რომელიც ე.წ. კაბელების საქმეში დევს, არ წერია, რომ თავდაცვის სამინისტროს სურდა „სილქნეტისგან“ უძრავი ქონების — მაგისტრალის შეძენა, — ამის შესახებ პროკურორის საპასუხოდ „კაბელების საქმეზე“ ბრალდებულების ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ეს დაადასტურა თავდაცვის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ ალექსი ბატიაშვილმა, რომელიც „სილქნეტთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებას ხელს აწერს და მისი ყველა დეტალი იცის.

— ბატიაშვილის ჩვენებით ამ საქმეს საბოლოოდ დაესვა წერტილი. ეს არის ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი. მანამდე კი მუშაობდა შს მინისტრის მოადგილედ და აქვს ინფორმაცია იმ მომსახურების ფასზე, რომელსაც „დელტაკომი“ უწევდა შსს-ს. ეს ფასი ოთხჯერ მეტია იმაზე, ვიდრე იგივე მომსახურებაში თავდაცვის სამინისტროსგან იღებდა კომპანია „სილქნეტი“.

ბატიაშვილის ჩვენებამ პროკურატურის ყველა პოზიცია გააბათილა და დადასტურდა, რომ ბრალდებულების მხრიდან ანგარებითი მიზანი არ არსებობდა და რეალურად „სილქნეტთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით დაიზოგა სახელმწიფო სახსრები, — განაცხადა ბარათაშვილმა და აღნიშნა, რომ დაცვის მხარეს პროკურატურა ხელს იმიტომ უშლიდა შსს-დან ოპტიკურ-ბოჭკოვან მომსახურებაზე ინფორმაციის გამოთხოვაში, რომ არ დადასტურებულიყო ბრალდებულების სიმართლე.

ინტერპრესნიუსი

# სოფელ ბადიაურში ავტოსაგზაო შემთხვევას 5 ადამიანი ემსხვერპლა



საგარეჯოს რაიონის სოფელ ბადიაურში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას 5 ადამიანი ემსხვერპლა, 2 კი დაშავდა. ერთმანეთს მიკროავტობუსი და „ოპელის“ მარკის ავტომობილი შეეჯახა. დაშავებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ინტერპრესნიუსი

# ციხისძირში ხეების გადარგვის საქმეზე დაკავებულები ხელწერილით გაათავისუფლეს



ციხისძირში ხეების გადარგვის საქმეზე დაკავებულები ხელწერილით გაათავისუფლეს, სასამართლო პროცესი კი 19 თებერვლისთვის გადაიდო.

მოსამართლე ლაშა თავართქილაძემ საქმეზე ოქმის შემდგენ სამართალდამცველებს შპს „ზიმოს“ დირექტორის მოწმის სახით წარმოდგენა მოსთხოვა.

მოსამართლემ ასევე სამუშაოების წარმოების ნებართვის დოკუმენტაცია მოითხოვა, რაც დღევანდელ პროცესზე წარმოდგენილი არ ყოფილა.

ინტერპრესნიუსი

# ზუგდიდში სამი მამაკაცის მკვლელობაში ბრალდებული დაკავებულია



ზუგდიდში დაკარგული სამი მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს, ხოლო მკვლელობაში ბრალდებული დაკავებულია.

— შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის და ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1976 წელს დაბადებული დავით ბ. დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 10 თებერვალს, ზუგდიდის რაიონის სოფელ აბასთუმანში, ხეცერის უბანში, ანგარების მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით თავისა და გულმკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა 1970 წელს დაბადებულ პაატა ჩ-ს, 1984 წელს დაბადებულ გიორგი ფ-ს, 1964 წელს დაბადებულ მერაბ ა-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამივე დაჭრილი მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე დღეში, ზუგდიდში დააკავეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს, — ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

მათივე ინფორმაციით, გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით) მიმდინარეობს.

ინტერპრესნიუსი




# გამოვიდა ახალი წიგნი
# GEORGIAN MYTH-TALES

დანიელ არა ქართველი ჟურნალისტის ვალერი ჭკადუას ფსევდონიმია. ვ.ჭკადუამ დაამთავრა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის მთავარ მთარგმნელობით კოლეგიაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საინფორმაციო განყოფილების გამგედ, საგამომცემლო სახლ „პალიტრის“ ინგლისურენოვანი ყოველკვირეულის Georgia Jornal-ის მთავარ რედაქტორად.

1990 წლიდან დანიელ არა აქტიურად თარმნის და აქვეყნებს შერვუდ ანდერსონის, უილიამ ფოლკნერის, ჯეიმს თერბერისა და სხვა ამერიკელი მწერლების ნაწარმოებებს.

წინამდებარე ინგლისურენოვანი მოთხრობების კრებულის „ქართული მითიური ამბების“ წინასიტყვაობაში დანიელ არა წერს: „ყოველ ერს გააჩნია მითები, რომლებიც აყალიბებენ ამ ხალხის როგორც კოლექტიურ, ასევე ინდივიდუალურ მიდგომას იმ მოვლენისადმი, რომელსაც ზოგი ოპტიმისტი „ცხოვრებას“ უწოდებს. ამ წიგნში მე შევეცადე გადმომეცა იმ მითიური აზროვნების თავისებურება, ქართველებს რომ ახასიათებს“.

**წიგნის შეძენა შეიძლება „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში.**

# რუმინეთს მოლდოვის შეერთება სურს

რუმინეთის ნაციონალ-ლიბერალურმა პარტიამ, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტი კლაუს იოჰანესიც განეკუთვნება, მოლდოვის შემოერთების გეგმა წარმოადგინა.

აღნიშნული დოკუმენტი ბუქარესტის ტელევიზიით პარტიის წარმომადგენელმა ვიორელ აბაიამ წაიკითხა.

რუმინეთი მოლდოვის ევროინტეგრაციას მხარს უჭერს. ამას გარდა, საუბარია ერთობლივი ინფრასტრუქტურის, საგზაო კომუნიკაციების განვითარებაზე, ინტეგრაციაზე სამხედრო სფეროში.

— ბესარაბიის რუმინეთთან შეერთება არა პარტიათა შორის გარჩევების საგანი, არამედ რუმინეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი უნდა გახდეს. აქ საუბარია რუმინელი ხალხის გაერთიანებაზე, — თქვა აბაიამ.

# საფრანგეთს ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰყავს



საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის განკარგულებით საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ჟან-მარკ ერო დაინიშნა.

მან ლორან ფაბიუსი შეცვალა.

ერო 1950 წელს ღარიბ ოჯახში დაიბადა. მამამისი სოფლის მეურნეობის მუშა იყო. ერო განათლებით გერმანული ფილოლოგიის სპეციალისტია, წლების განმავლობაში სკოლაში გერმანულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა.

ეროს პოლიტიკური კარიერა საფრანგეთის სოციალისტურ პარტიასთან არის დაკავშირებული. ის ამ პარტიის მემარცხენე ფრთას განეკუთვნებოდა.

ერო გამოცდილი პოლიტიკოსია. ის იყო ნანტის მერი, 2012-14 წლებში კი საფრანგეთში პრემიერის პოსტიც ეკავა.

# სირიაში ცეცხლი შეწყდება

## შეხვედრა მიუნხენში



მიუნხენში სირიის კონფლიქტის დამარეგულირებელი საერთაშორისო ჯგუფის შეხვედრა შედგა. მასში მონაწილეობდნენ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი და გაეროს წარმომადგენელი დი მისტურა.

შეხვედრის შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კმაყოფილი იყო.

— მიღწეულია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, — განაცხადა მან.

ლავროვის ამერიკელმა კოლეგამ ჯონ ქერიმ აღნიშნა, რომ ერთი კვირის შემდეგ ცეცხლი ფრონტის ყველა უბანზე უნდა შეწყდეს. მანამდე შეიქმნება მუშა ჯგუფები, სადაც რუსეთ-ამერიკის წარმომადგენლები შევლენ. ისინი დააკვირდებიან, ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი როგორ სრულდება. ამას გარდა, დაიწყება ალყაშემორტყმული რეგიონებისთვის ჰუმანიტარული ტვირთის მიწოდება.

— ეს ძალზე მნიშვნელოვანია, — თქვა ქერიმ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი არ გავრცელდება ტერორისტებზე. ამაში იგულისხმებიან „ისლამური სახელმწიფო“, „ალ ნუსრა“ და სხვა დაჯგუფებები. ლავროვმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ რუსეთი ტერორისტების პოზიციების დაბომბვას გააგრძელებს.

— საუბარი იმის თაობაზე, რომ ჩვენ მშვიდობიან მოსახლეობას ვბომბავთ, უნდა დასრულდეს, — თქვა ლავროვმა.

თურქეთის წარმომადგენელმა მიუნხენში შეხვედრა სკეპტიკურად შეაფასა. მისი აზრით, რუსეთმა დაასრულა ალეპოს აღების ოპერაცია და ახლა იდლიბზე იერიშისთვის ემზადება. ასევე სკეპტიკურადაა განწყობილი სირიის ზომიერი ოპოზიციაც. სირიის უმაღლესი მომლაპარაკებელი კომიტეტის წარმომადგენელმა თქვა, რომ რუსეთმა დაბომბვები უნდა შეწყვიტოს.

ჯონ ქერიმ შენიშნა, რომ მოლაპარაკებები ჟენევაში განახლდება მხოლოდ მაშინ, როცა სროლები შეწყდება, ხოლო ძალადობას ბოლო მოეღება.

— იმედი მაქვს, ამის მიღწევას შევძლებთ, — თქვა ქერიმ.

თავის მხრივ, ლავროვმა განაცხადა:

— ბრალდება რუსეთის მიმართ, რომ ტერორისტების ნაცვლად ასადის მოწინააღმდეგეებს ვბომბავთ, უსაფუძვლოა. ასევე უსაფუძვლოა ასადის ხელისუფლების დადანაშაულება იმაში, რომ ალეპოზე იერიშისას ზედმეტ აგრესიულობას იჩენს. უკვე კარგა ხანია, რაც ალეპო მებრძოლების ხელშია, ამიტომ სავსებით მესმის ასადის სურვილი, გაათავისუფლოს ეს ქალაქი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ისლამისტ ტერორისტებს უკვე ქიმიური იარაღი გააჩნიათ



აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის დირექტორმა ჯონ ბრენანმა განაცხადა, რომ „ისლამურ სახელმწიფოს“ უკვე ქიმიური იარაღი გააჩნია.

— მათ შეძლეს ქიმიური იარაღის წარმოების აწყობა. რამდენჯერმე დაფიქსირებულია ამ იარაღის გამოყენების ფაქტები, — თქვა ბრენანმა.

აშშ-ის დაზვერვის შეფის ცნობით, ტერორისტები ცდილობენ, ქიმიური იარაღის ნაწილი ევროპაში გაყიდონ, რათა ამ გზით თავიანთი ხაზინა შეავსონ.

# ჯაბა კანკავა: „ნოიერის კარში გატანილი გოლის შემდეგ სამოთხეში ვიყავი“

**დასაწყისი მე-12 გვერდზე**

პარიზში შოპინგი ან, უბრალოდ, ქალაქის ქუჩებში სეირნობა. თამაშის შემდეგ, თუ ძალიან დაღლილი არ ხარ, შეიძლება რომელიმე კლუბში წასვლა.

***— ვიცი, რომ კომპიუტერზე ფეხბურთის თამაში გიყვართ. საფრანგეთში ვის ეთამაშებით ხოლმე?***

— არავისთან, სანდრო კობახიძე აქ არ არის და მეტოქეც არ მყავს.

***— რეიმსში ყველამ იცის ფრანგული. ენობრივი ბარიერი არ გაფერხებთ?***

— ყოველდღიურ ცხოვრებაში დისკომფორტს კი ვგრძნობ, მაგრამ საფეხბურთო მოედანზე უნდა ითამაშო და ლაპარაკი ნაკლებადაა საჭირო. თუმცა, როცა ფრანგულს შევისწავლი, მოედანზე ყოფნა უფრო გამიიოლდება.

***— საფრანგეთს უკვე შეეგუეთ?***

— პრაქტიკულად, კი.

***— რითი გაგაკვირვათ საფრანგეთის ჩემპიონატმა?***

— პსჟ ცალკე ისტორიაა. თუმცა სუსტი მეტოქეები აქ არ არსებობენ. იოლად არავინ არაფერს დაგითმობს, ყოველი მატჩი ძალზე მნიშვნელოვანია. თითოეული გუნდის დონე სტაბილურად მაღალია, მატჩებზე ბლომად მაყურებელი დადის და ყველგან საფეხბურთო ატმოსფეროა.

***— რეიმსი შამპანური ღვინოების სამშობლოა, გასინჯეთ უკვე?***

— დიახ. აქ შამპანური ღვინოების ფართო არჩევანია. გრძნობ, რომ ნაღდ, ხარისხიან შამპანურს სვამ. მაგრამ ღვინოს აქ ყურადღებას ნაკლებად ვაქცევ. საქართველოს შემდეგ საფრანგეთი დიდად ვერ გამაკვირვებდა.

***— უკრაინაში ბევრი ქართული რესტორანია. საფრანგეთში გაქვს საშუალება, ხინკალი მიირთვა?***

— რეიმსში არ გამიგია, პარიზში ქართული რესტორნები არის, მაგრამ მე ჯერ არ ვყოფილვარ.

***— ახლახან საქართველოს წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელეს. როგორი ემოციები დაგეუფლათ?***

— ეს ცხოვრებაში პირველად მოხდა და ძალიან სასიამოვნო იყო. დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ ამის გამო. მადლობა ყველას, ვინც კი დამეხმარა ასეთი მნიშვნელოვანი პრიზის მოპოვებაში.

***— ზლატან იბრაჰიმოვიჩს უკვე შეხვდით. რას ფიქრობთ, შეიძლება მისი შეჩერება?***

— იბრაჰიმოვიჩი ფიზიკურად მძლავრი, პლასტიკური და მაღალი დონის ფორვარდია. როგორ გავაჩეროთ ის, ვერ გეტყვით. უმჯობესია, ეს მასკერანოს ჰკითხოთ.

***— გაიხსენეთ გასული წლის 14 მაისი, როდესაც კიევის ოლიმპიურ სტადიონზე ევროპალიგის ნახევარფინალის საფინალო სასტვენი გაისმა.***

— ძალიან ბედნიერი და დაღლილი ვიყავი.

***— საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში თქვენი გოლი ნოიერის კარში, უბრალოდ, ფანტასტიკური იყო. რა გრძნობა იყო გერმანიის ნაკრების კარში გატანა?***

— ამ ყველაფრის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. რამდენიმე წამით სამოთხეში ხარ. ცოტა ხანში დედამიწაზე ეშვები.

***— ალბათ, ახლა პოპულარობით კალაძეს არ ჩამორჩებით. მოგწონთ პოპულარობა?***

— ვერ შევედრები კალაძეს, ის სულ სხვა დონეზე თამაშობდა, გაცილებით მაღალზე, ვიდრე მე. თუმცა, რომ გცნობენ, სასიამოვნოა.

***— ვიცით, რომ პრესასთან ურთიერთობა არ გიყვართ. თავად თუ კითხულობთ კოლეგების ინტერვიუებს?***

— არ მიყვარს დიდად პრესასთან ურთიერთობა, ეს მართალია. მხოლოდ, როცა ძალიან საჭიროა ინტერვიუ, მაშინ ვთანხმდები. თავად, რა თქმა უნდა, ვეცნობი საფეხბურთო სიახლეებს.

***— ალბათ, გიფიქრიათ, რომ დროულად წახვედით დნიპროდან.***

— ვფიქრობ, რომ გუნდიდან დროულად წავედი, მაგრამ მის თამაშებს ისევ ვადევნებ თვალს.

***— უკრაინაში გატარებულ დროზე გული ხომ არ გწყდებათ?***

— არა, ალბათ, ღმერთს ასე სურდა. მადლობელი ვარ უკრაინის, სადაც საუკეთესო საფეხბურთო წლები გავატარე.

***— რეიმსთან კონტრაქტის დასრულების შემდეგ უკვე 33 წლის იქნებით. რას აპირებთ მერე?***

— არ ვიცი, რა იქნება სამი წლის მერე. კარიერას კი მაშინვე დავასრულებ, როგორც კი თავს შევატყობ, რომ მაღალ დონეზე თამაში არ შემეძლება.

***— ახლა ბევრი ფეხბურთელი მიდის ჩინეთში, სადაც მათ კარგ ხელფასს სთავაზობენ.***

— არ გამოვრიცხავ ასეთ ვარიანტსაც. ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

***— თუ ხედავთ საკუთარ თავს მომავალში მწვრთნელის რანგში? დავუშვათ, ეროვნული ნაკრების მწვრთნელის რანგში?***

— არა მგონია, რომ მწვრთნელი გავხდე.

***— თქვენ ახალი თაობისთვის სამაგალითო ხართ. საფეხბურთო სკოლის გახსნაზე არ გიფიქრიათ თბილისში?***

— ჯერ არც ამაზე მიფიქრია.

***— ალბათ, ბევრი თაყვანისმცემელი გყავთ საქართველოში, უკრაინაში და ახლა უკვე საფრანგეთში. თქვენი გული თავისუფალია?***

— არა, ჩემი გული თავისუფალი არ არის. იქ ჯერ კიდევ ფეხბურთია.

**მიხეილ ქორქოლიანი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

**ქალბატონი ქეთათო**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# განცხადებები

**მკურნალობა**

● უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი — კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის“ ოფისში. ტელ: 555-75-90-62.

● ნანა ქიბროწაშვილი — ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● გასახდომი ყავა!!! ხარისხირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ — ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ — ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ — მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ — წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● დაქვეითებული სმენის — ნევრიტის, ოტიტის, ოსტეოქონდროზის, კიდურების, კუნთების, სახსრების დაავადებების, რადიკულიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, მასტიტის, საკვერცხეების ანთების, წითელი ქარის განკურნება უნიკალური ენერგეტიკული მეთოდით, ასაკის მიუხედავად. ეს ნამდვილია პრაქტიკულად გამოცდილი. მის.: აღმაშენებლის 93. პოლიკლინიკა. ტელ: 599-97-85-46 ლევანი - სერტიფიცირებული სახალხო მკურნალი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ლონდონში მელიებს თოფით დახვდებიან

ჩინებული უქმეები ელით ფეხბურთის მოყვარულებს, განსაკუთრებით – ინგლისში. ორი დიდებული მატჩია: მე-3 ადგილოსანი არსენალი შინ ლიდერ ლესტერს დაუხვდება. მელიების (ლესტერის მეტსახელი) „გატყავება“ აქამდე ვერავინ შეძლო, ვნახოთ, როგორ დაუდგება ლონდონელ მეთოფეებს. არანაკლებ საინტერესოა მე-4 ადგილზე მყოფი სიტისა და მე-2 ადგილოსან ტოტენჰემის ჯახი. მოკლედ, ლიდერთა ოთხეული ერთმანეთში თამაშობს და, გარკვეულწილად, საჩემპიონო ტურია.

საჩემპიონო ვახსენეთ და არც იტალია უნდა დაგვავიწყდეს – მე-2 ადგილზე მყოფი იუვენტუსი, რომელსაც ზედიზედ 14 მოგება აქვს, შინ პირველადგილოსან ნაპოლის დაუხვდება. მოგების შემთხვევაში, ტურინელები გალიდერდებიან და ნეაპოლიტანებს ერთი საფეხურით ჩააჩოჩებენ.




**ინგლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13.02 სანდერლენდი-მანჩესტერი | 4.75 | 3.4 | 1.8 |
| 13.02 ბორნმუთი-სტოკი | 2.15 | 3.25 | 3.5 |
| 13.02 კრ.პალასი-უოტფორდი | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 13.02 ნორვიჩი-ვესტ ჰემი | 2.3 | 3.3 | 3.1 |
| 13.02 ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.6 | 4.0 | 5.5 |
| 13.02 სუონსი-საუთჰემპტონი | 3.1 | 3.1 | 2.4 |
| 13.02 ჩელსი-ნიუკასლი | 1.44 | 4.33 | 7.0 |
| 14.02 არსენალი-ლესტერი | 1.75 | 3.75 | 4.5 |
| 14.02 ასტონ ვილა-ლივერპული | 4.4 | 3.4 | 1.85 |
| 14.02 სიტი-ტოტენჰემი | 2.05 | 3.4 | 3.6 |

**სანდერლენდი-მანჩესტერი**

სანდერლენდი: ***ტრავმ***-სებასტიან ლარსონი, იუნის კაბული, ადამ მატეუსი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ეშლი იანგი, ლუკ შოუ, ანტონიო ვალენსია, მარკოს როხო, ბასტიან შვაინშტაიგერი

**ბორნმუთი-სტოკი**

ბორნმუთი: ***ტრავმ***-კალუმ უილსონი, ტაირონ მინგსი, მაქს გრადელი

სტოკი: ***ტრავმ***-მარკ უილსონი, ფილიპ ვოლშეიდი, რაიან შოუკროსი, ჩარლი ადამი, ჯეფ კამერონი

**კრ.პალასი-უოტფორდი**

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ჯეიმს მაკარტური, ჯეისონ პუჩეონი, ბაქარი საკო, ჯოე ლედლი, იანიკ ბოლასიე

უოტფორდი: ***ტრავმ***-არავინ

**ნორვიჩი-ვესტ ჰემი**

ნორვიჩი: ***ტრავმ***-გრეჰემ დორანსი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-კარლ ჯენკინსონი, დიაფრა სახო, მანუელ ლანძინი

**ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი**

ევერტონი: ***ტრავმ***-ჯოშ სტოუნი, ტიმ ჰოვარდი, მუჰამედ ბესიჩი, ტიას ბრაუნინგი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ჯეიმს მორისონი, ჯონათან ევანსი, კალუმ მაკნამანი, კრის ბრუნტი

**სუონსი-საუთჰემპტონი**

სუონსი: ***ტრავმ***-კი სუნგ-იუნგი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-ჯეი როდრიგესი

**ჩელსი-ნიუკასლი**

ჩელსი: ***ტრავმ***-რადამელ ფალკაო, ლიოკ რემი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-ვურნონ ანიტაპოლ დამენტი, კევინ მბაბუ, სიმ დე იონგი, ჩანსელ მბემბა, ტიმ კრუსლი, მასადიო ჰაიდარა, გაბრიელ ობერტანი

**არსენალი-ლესტერი**

არსენალი: ***ტრავმ***-დანი უელბეკი, ტომაშ როსიცკი, სანტი კაზორლა, ჯეკ უილშირი

ლესტერი: ***ტრავმ***-ჯეფრი შლუპი

**ასტონ ვილა-ლივერპული**

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-კარლოს სანჩესი, ლიბორ კოზაკი, რუდი გესტედე, ჯორდანი ამავი, ადამა ტრაორე

ლივერპული: ***ტრავმ***-ჯორდან ჰენდერსონი, დანი ინგსი, ხოსეპ გომესი, ფილიპე კოუტინიუ, დივოკ ორიჯი, მარტინ შკრტელი, დანიელ სტარიჯი

**სიტი-ტოტენჰემი**

სიტი: ***ტრავმ***-ვილფრედ ბონი, ემანუელ მანგალა, ხესუს ნავასი, კევინ დე ბრუინე, სამირ ნასრი, ვინსენტ კომპანი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-იან ვერტონგენი, კლინტონ მუა ნჯიე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 25 | 15 | 8 | 2 | 47-27 | 53 |
| 2.ტოტენჰემი | 25 | 13 | 9 | 3 | 45-19 | 48 |
| 3.არსენალი | 25 | 14 | 6 | 5 | 39-22 | 48 |
| 4.სიტი | 25 | 14 | 5 | 6 | 47-26 | 47 |
| 5.მანჩესტერი | 25 | 11 | 8 | 6 | 32-22 | 41 |
| 6.ვესტ ჰემი | 25 | 10 | 9 | 6 | 38-29 | 39 |
| 7.საუთჰემპტონი | 25 | 10 | 7 | 8 | 33-24 | 37 |
| 8.ევერტონი | 25 | 8 | 11 | 6 | 46-34 | 35 |
| 9.ლივერპული | 25 | 9 | 8 | 8 | 32-36 | 35 |
| 10.უოტფორდი | 25 | 9 | 6 | 10 | 27-27 | 33 |
| 11.სტოკი | 25 | 9 | 6 | 10 | 24-31 | 33 |
| 12.კრ.პალასი | 25 | 9 | 5 | 11 | 26-30 | 32 |
| 13.ჩელსი | 25 | 7 | 9 | 9 | 33-35 | 30 |
| 14.ვესტ ბრომვიჩი | 25 | 7 | 8 | 10 | 23-32 | 29 |
| 15.ბორნმუთი | 25 | 7 | 7 | 11 | 29-41 | 28 |
| 16.სუონსი | 25 | 6 | 9 | 10 | 24-33 | 27 |
| 17.ნიუკასლი | 25 | 6 | 6 | 13 | 26-44 | 24 |
| 18.ნორვიჩი | 25 | 6 | 5 | 14 | 28-48 | 23 |
| 19.სანდერლენდი | 25 | 5 | 5 | 15 | 30-49 | 20 |
| 20.ასტონ ვილა | 25 | 3 | 7 | 15 | 20-40 | 16 |

**ესპანეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13.02 რეალი-ბილბაო | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 13.02 ვილიარეალი-მალაგა | 2.0 | 3.25 | 4.0 |
| 13.02 ვალენსია-ესპანიოლი | 1.83 | 3.5 | 4.2 |
| 13.02 დეპორტივო-ბეტისი | 1.8 | 3.5 | 4.6 |
| 14.02 სოსიედადი-გრანადა | 1.61 | 3.6 | 6.0 |
| 14.02 სევილია-ლას პალმასი | 1.35 | 4.8 | 9.0 |
| 14.02 ეიბარი-ლევანტე | 1.8 | 3.4 | 4.8 |
| 14.02 ხეტაფე-ატლეტიკო | 7.0 | 3.6 | 1.57 |
| 14.02 ბარსელონა-სელტა | 1.07 | 11.0 | 29.0 |

**რეალი-ბილბაო**

რეალი: ***ტრავმ***-მარსელო, პეპე, გარეთ ბეილი

ბილბაო: ***ტრავმ***-იბაი გომესი, რაულ გარსია

**ვილიარეალი-მალაგა**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ერიკ ბეილი, სამუ, ადრიანი; ***დისკვ***-დანიელე ბონერა

მალაგა: ***ტრავმ***-კრისტიან ატსუ, გონსალო კასტრო, ხუან კარლოსი; ***დისკვ***-რეკიო

**ვალენსია-ესპანიოლი**

ვალენსია: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ანდრე გომესი, ხოსე გაია, შკოდრან მუსტაფი

ესპანიოლი: ***ტრავმ***-გედრიუს არლაუსკასი, ერნან პერესი, ანაიტც არბილია

**დეპორტივო-ბეტისი**

დეპორტივო: ***ტრავმ***-არავინ

ბეტისი: ***ტრავმ***-ფაბიან რუისი, კრისტიანო პიცინი; ***დისკვ***-გერმან პეზელა

**სოსიედადი-გრანადა**

სოსიედადი: ***ტრავმ***-კარლოს მარტინესი, სერხიო კანალესი, იმანოლ აგირეჩე

გრანადა: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-მიგელ ლოპესი

**სევილია-ლას პალმასი**

სევილია: ***ტრავმ***-გრჟეგოჟ კრიშევიაკი, მარკო ანდრეოლი; ***დისკვ***-ფედერიკო ფაციო

ლას პალმასი: ***ტრავმ***-ანგელ მონტორო, ხოსე ვინსენტ გომესი, ჰერნანი, ხავი კასტელანო

**ეიბარი-ლევანტე**

ეიბარი: ***ტრავმ***-ალექსანდარ პანტიჩი, ივან რამისი; ***დისკვ***-დავიდ იუნკა

ლევანტე: ***ტრავმ***-პედრო ლოპესი, რუბენ გარსია, ხოსე მარი; ***დისკვ***-ხუანფრანი

**ხეტაფე-ატლეტიკო**

ხეტაფე: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-მეჰდი ლაკენი

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ტომასი, აუგუსტო ფერნანდესი, ტიაგო

**ბარსელონა-სელტა**

ბარსელონა: ***ტრავმ***-რაფინია

სელტა: ***ტრავმ***-ანდრეუ ფონტასი; ***დისკვ***-სერხი გომესი, ტეო ბონგონდა, იაგო ასპასი, ფაბიან ორელანა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 22 | 17 | 3 | 2 | 56-17 | 54 |
| 2.ატლეტიკო | 23 | 16 | 3 | 4 | 34-11 | 51 |
| 3.რეალი | 23 | 15 | 5 | 3 | 66-21 | 50 |
| 4.ვილიარეალი | 23 | 13 | 6 | 4 | 29-18 | 45 |
| 5.სევილია | 23 | 10 | 7 | 6 | 32-24 | 37 |
| 6.ბილბაო | 23 | 10 | 5 | 8 | 33-30 | 35 |
| 7.სელტა | 23 | 10 | 5 | 8 | 34-36 | 35 |
| 8.ეიბარი | 23 | 9 | 6 | 8 | 36-31 | 33 |
| 9.დეპორტივო | 23 | 6 | 13 | 4 | 31-28 | 31 |
| 10.მალაგა | 23 | 8 | 6 | 9 | 21-20 | 30 |
| 11.სოსიედადი | 23 | 7 | 6 | 10 | 31-34 | 27 |
| 12.ხეტაფე | 23 | 7 | 5 | 11 | 26-35 | 26 |
| 13.ბეტისი | 23 | 6 | 7 | 10 | 16-31 | 25 |
| 14.ვალენსია | 23 | 5 | 10 | 8 | 26-24 | 25 |
| 15.რაიო | 23 | 6 | 5 | 12 | 30-47 | 23 |
| 16.ხიხონი | 22 | 6 | 4 | 12 | 24-36 | 22 |
| 17.ესპანიოლი | 23 | 6 | 4 | 13 | 20-46 | 22 |
| 18.ლას პალმასი | 23 | 5 | 6 | 12 | 23-36 | 21 |
| 19.გრანადა | 23 | 5 | 5 | 13 | 25-46 | 20 |
| 20.ლევანტე | 23 | 4 | 5 | 14 | 21-43 | 17 |

**გერმანია**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13.02 დარმშტადი-ლევერკუზენი | 5.0 | 4.0 | 1.65 |
| 13.02 ვოლფსბურგი-ინგოლშტადი | 1.61 | 3.8 | 5.5 |
| 13.02 დორტმუნდი-ჰანოვერი | 1.12 | 8.5 | 19.0 |
| 13.02 ვერდერი-ჰოფენჰაიმი | 2.2 | 3.5 | 3.1 |
| 13.02 შტუტგარტი-ჰერტა | 2.15 | 3.4 | 3.3 |
| 13.02 კიოლნი-აინტრახტი | 1.95 | 3.6 | 3.75 |
| 14.02 ჰამბურგი-გლადბახი | 3.1 | 3.5 | 2.2 |
| 14.02 აუგსბურგი-ბაიერნი | 11.0 | 6.0 | 1.25 |

**დარმშტადი-ლევერკუზენი**

დარმშტადი: ***ტრავმ***-ჯორჯ გარიკი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ლარს ბენდერი

**ვოლფსბურგი-ინგოლშტადი**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ბას დოსტი, მაქსიმილიან არნოლდი

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-ტობიას ლეველსი

**დორტმუნდი-ჰანოვერი**

დორტმუნდი: ***ტრავმ***-სვენ ბენდერი, ნური შაჰინი

ჰანოვერი: ***ტრავმ***-ოლივერ სორგი, ფელიქს კლაუსი, ჩარლისონ ბანშოპი, ლეონ ანდრეასენი, ჰიროში ტიოკატე

**ვერდერი-ჰოფენჰაიმი**

ვერდერი: ***ტრავმ***-მარსელი ჰილსნერი, სანტიაგო გარსია, ფლორიან გრილიტჩი, ფილიპ ბარგფრიდი, ალეხანდრო კალვესი, იანეკ სტრენბერგი, არონ იოჰანსენი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-არავინ

**შტუტგარტი-ჰერტა**

შტუტგარტი: ***ტრავმ***-დანიელ გინსეკი

ჰერტა: ***ტრავმ***-არავინ

**კიოლნი-აინტრახტი**

კიოლნი: ***ტრავმ***-არავინ

აინტრახტი: ***ტრავმ***-შტეფან რეინალტცი, იოანეს ფლუმი, ლუკ კატაინოსი

**ჰამბურგი-გლადბახი**

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ივო ილიჩევიჩი, მიქაელ გრეგორიჩი, ანდრეას ჰირცელი, ნიკოლაი მიულერი, ალბინ აკდალი

გლადბახი: ***ტრავმ***-ტონი იანჩკე, ალვარო დომინგესი, ანდრე ჰანი, ნიკო შულცი, პატრიკ ჰერმანი

**აუგსბურგი-ბაიერნი**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-იან-ინგვერ კალსენ ბრაკერი

ბაიერნი: ***ტრავმ***-ხავი მარტინესი, ჯერომ ბოატენგი, ფრანკ რიბერი, მეჰდი მენატია, მარიო გიოტცე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 20 | 17 | 2 | 1 | 50-9 | 53 |
| 2.დორტმუნდი | 20 | 14 | 3 | 3 | 52-24 | 45 |
| 3.ჰერტა | 20 | 10 | 5 | 5 | 29-21 | 35 |
| 4.შალკე | 20 | 10 | 3 | 7 | 29-26 | 33 |
| 5.ლევერკუზენი | 20 | 9 | 5 | 6 | 29-21 | 32 |
| 6.გლადბახი | 20 | 10 | 2 | 8 | 40-35 | 32 |
| 7.მაინცი | 20 | 9 | 3 | 8 | 25-24 | 30 |
| 8.ვოლფსბურგი | 20 | 7 | 6 | 7 | 29-28 | 27 |
| 9.კიოლნი | 20 | 6 | 8 | 6 | 21-26 | 26 |
| 10.ინგოლშტადტი | 20 | 7 | 5 | 8 | 14-21 | 26 |
| 11.დარმშტადტი | 20 | 6 | 6 | 8 | 21-29 | 24 |
| 12.შტუტგარტი | 20 | 7 | 3 | 10 | 31-41 | 24 |
| 13.ჰამბურგი | 20 | 6 | 5 | 9 | 22-28 | 23 |
| 14.აუგსბურგი | 20 | 5 | 6 | 9 | 22-28 | 21 |
| 15.აინტრახტი | 20 | 5 | 6 | 9 | 26-34 | 21 |
| 16.ვერდერი | 20 | 5 | 4 | 11 | 24-41 | 19 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 20 | 2 | 8 | 10 | 18-30 | 14 |
| 18.ჰანოვერი | 20 | 4 | 2 | 14 | 19-35 | 14 |

**იტალია**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13.02 ემპოლი-ფროზინონე | 1.6 | 3.75 | 6.0 |
| 13.02 კიევო-სასუოლო | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 13.02 იუვენტუსი-ნაპოლი | 2.1 | 3.2 | 3.75 |
| 14.02 მილანი-ჯენოა | 1.75 | 3.6 | 4.8 |
| 14.02 სამპდორია-ატალანტა | 2.15 | 3.1 | 3.6 |
| 14.02 უდინეზე-ბოლონია | 2.15 | 3.2 | 3.6 |
| 14.02 პალერმო-ტორინო | 2.9 | 3.1 | 2.5 |
| 14.02 ფიორენტინა-ინტერი | 2.25 | 3.3 | 3.2 |

**ემპოლი-ფროზინონე**

ემპოლი: ***ტრავმ***-დანიელე კროკე; ***დისკვ***-ვინსენტ ლაურინი

ფროზინონე: ***ტრავმ***-არლინდ აჯეტი

**კიევო-სასუოლო**

კიევო: ***ტრავმ***-რიკარდო მეჯორინი, ალესანდრო გამბერინი, ფედერიკო მატიელო

სასუოლო: ***ტრავმ***-ქარიმ ლარიბი

**იუვენტუსი-ნაპოლი**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-მარტინ კასერესი, ჯორჯო კიელინი, მარიო მანჯუკიჩი, კვადვო ასამოა

ნაპოლი: ***ტრავმ***-არავინ

**მილანი-ჯენოა**

მილანი: ***ტრავმ***-იურაი კუჩკა, ფილიპ მექსე, როდრიგო ელი, დიეგო ლოპესი

ჯენოა: ***ტრავმ***-ლეონარდო პავოლეტი, კრისტიან ანსალდი; ***დისკვ***-ტომას რინკონი

**სამპდორია-ატალანტა**

სამპდორია: ***ტრავმ***-მობიდო დიაკიტე, ჯაკოპო სალა, ლორენცო დე სილვესტრი

ატალანტა: ***ტრავმ***-გაბრიელ პალეტა, კარლოს კარმონა

**უდინეზე-ბოლონია**

უდინეზე: ***ტრავმ***-მაურისიო დომიცი, ჯოვანი პასკუალე, ალექსანდერ მერკელი

ბოლონია: ***ტრავმ***-ლუკა როსეტინი, ანტონიო მირანტე

**პალერმო-ტორინო**

პალერმო: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-აშრაფ ლაზაარი

ტორინო: ***ტრავმ***-ცეზარე ბოვო

**ფიორენტინა-ინტერი**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-მილან ბადელი; ***დისკვ***-მატიას ფერნანდესი

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ფელიპე მელო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 24 | 17 | 5 | 2 | 53-19 | 56 |
| 2.იუვენტუსი | 24 | 17 | 3 | 4 | 45-15 | 54 |
| 3.ფიორენტინა | 24 | 14 | 4 | 6 | 42-23 | 46 |
| 4.ინტერი | 24 | 13 | 6 | 5 | 30-20 | 45 |
| 5.რომა | 24 | 12 | 8 | 4 | 44-26 | 44 |
| 6.მილანი | 24 | 11 | 7 | 6 | 35-26 | 40 |
| 7.სასუოლო | 24 | 8 | 10 | 6 | 28-28 | 34 |
| 8.ემპოლი | 24 | 9 | 7 | 8 | 29-32 | 34 |
| 9.ლაციო | 24 | 9 | 6 | 9 | 29-32 | 33 |
| 10.კიევო | 24 | 8 | 6 | 10 | 29-32 | 30 |
| 11.ბოლონია | 24 | 9 | 3 | 12 | 28-31 | 30 |
| 12.ტორინო | 24 | 7 | 7 | 10 | 30-32 | 28 |
| 13.ატალანტა | 24 | 7 | 7 | 10 | 23-27 | 28 |
| 14.უდინეზე | 24 | 7 | 6 | 11 | 21-37 | 27 |
| 15.პალერმო | 24 | 7 | 5 | 12 | 26-39 | 26 |
| 16.ჯენოა | 24 | 6 | 7 | 11 | 24-28 | 25 |
| 17.სამპდორია | 24 | 6 | 6 | 12 | 36-43 | 24 |
| 18.კარპი | 24 | 4 | 7 | 13 | 22-40 | 19 |
| 19.ფროზინონე | 24 | 5 | 4 | 15 | 24-50 | 19 |
| 20.ვერონა | 24 | 1 | 12 | 11 | 19-37 | 15 |

**საფრანგეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13.02 პსჟ-ლილი | 1.33 | 4.8 | 10.0 |
| 13.02 გაზელეკი-ტრუა | 1.73 | 3.6 | 5.0 |
| 13.02 გენგამი-ბორდო | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 13.02 რეიმსი-ბასტია | 1.85 | 3.3 | 4.6 |
| 13.02 ნანტი-ლორიანი | 2.15 | 3.0 | 3.8 |
| 13.02 მონპელიე-ტულუზა | 2.15 | 3.25 | 3.5 |
| 14.02 ლიონი-კაენი | 1.6 | 4.0 | 6.0 |
| 14.02 სტ.ეტიენი-მონაკო | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 14.02 ნიცა-მარსელი | 2.8 | 3.3 | 2.5 |

**პსჟ-ლილი**

პსჟ: ***ტრავმ***-მარკო ვერატი, ეზეკიელ ლავეცი, გრეგორი ვან დერ ვილი

ლილი: ***ტრავმ***-მაიკ მაინანი

**გაზელეკი-ტრუა**

გაზელეკი: ***ტრავმ***-გრეგუარ პუიოლი

ტრუა: ***ტრავმ***-მორი კონე

**გენგამი-ბორდო**

გენგამი: ***ტრავმ***-ნიკოლას ბენეზეტი, ჯონათან პერეირა, მამადუ სამასა, მაქსინ ბაკა

ბორდო: ***ტრავმ***-მაქსიმ პუნდიე, სედრიკ კარასო, ჯუსიე, ისააკ კიესე ტიენი, მილან გაიჩი, პაბლო, გრეგუარ სერტიჩი

**რეიმსი-ბასტია**

რეიმსი: ***ტრავმ***-დავიდ ნგოგი, ტეოსონ სიბეჩეუ, ანტონი ვებერი, ფრედერიკ ბულო, უგო როდრიგესი, ანტიან კონტე

ბასტია: ***ტრავმ***-ჟულიენ რომანი, ფლორიან მარანგე, ალექსანდერ ჯიკუ

**ნანტი-ლორიანი**

ნანტი: ***ტრავმ***-კოლბეინ სიტორსონი, კოფი ჯიჯი, ალექსის ელანდი, ვალენტინ რონიე

ლორიანი: ***ტრავმ***-მორიკე ფოფანა, მარვინ ჯაპკა, ვესლი ლაუტოა

**მონპელიე-ტულუზა**

მონპელიე: ***ტრავმ***-მორგან სანსონი, იორის მავრო, პოლ ლანსე

ტულუზა: ***ტრავმ***-უილიამ მეტიუსი, მარტინ ბრაიტვაიტი, პავლე ნინკოვი, ჟან-არმელ კანა-ბიიკი

**ლიონი-კაენი**

ლიონი: ***ტრავმ***-რაფაელი, ნაბილ ფეკირი

კაენი: ***ტრავმ***-ალადინ იაია, ჯონათან დელაპლასე, ერვე ბაზილე

**სტ.ეტიენი-მონაკო**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-პიერ პოლომა, კევინ მონე, ლიოკ პერინი, რომან ჰამუმა, ბენუა ასოუ-ეკოტო, ფრანსუა კლერკი, რობერტ ბერიჩი

მონაკო: ***ტრავმ***-ლასინა ტრაორე, ფარეს ბალული, ადამა ტრაორე, ჯერემი ტულანანი, ივან კავალიერო, უვა ეჩიეჯილე, ალმანი ტურე

**ნიცა-მარსელი**

ნიცა: ***ტრავმ***-მაჰამანე ტრაორე, მიკაელ ლე ბიანი, ალასანე პლეა, სიმონ პუპლინი

მარსელი: ***ტრავმ***-ლუკას ოკამპოსი, ბენჯამინ მენდი, აბუ დიაბი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 25 | 22 | 3 | 0 | 63-12 | 69 |
| 2.მონაკო | 25 | 12 | 9 | 4 | 36-28 | 45 |
| 3.ნიცა | 25 | 11 | 6 | 8 | 38-29 | 39 |
| 4.სტ.ეტიენი | 25 | 12 | 3 | 10 | 30-28 | 39 |
| 5.ანჟე | 25 | 10 | 7 | 8 | 25-23 | 37 |
| 6.ლიონი | 25 | 10 | 6 | 9 | 34-27 | 36 |
| 7.ნანტი | 25 | 9 | 9 | 7 | 24-23 | 36 |
| 8.კაენი | 25 | 11 | 3 | 11 | 26-31 | 36 |
| 9.რენი | 25 | 8 | 11 | 6 | 33-31 | 35 |
| 10.მარსელი | 25 | 8 | 10 | 7 | 35-26 | 34 |
| 11.ბორდო | 25 | 8 | 9 | 8 | 32-37 | 33 |
| 12.ლორიანი | 25 | 7 | 10 | 8 | 34-36 | 31 |
| 13.გენგამი | 25 | 8 | 7 | 10 | 26-30 | 31 |
| 14.ბასტია | 25 | 9 | 4 | 12 | 24-29 | 31 |
| 15.ლილი | 25 | 6 | 12 | 7 | 20-20 | 30 |
| 16.რეიმსი | 25 | 7 | 8 | 10 | 27-33 | 29 |
| 17.გაზელეკი | 25 | 6 | 9 | 10 | 25-34 | 27 |
| 18.მონპელიე | 25 | 7 | 5 | 13 | 28-31 | 26 |
| 19.ტულუზა | 25 | 4 | 9 | 12 | 25-42 | 21 |
| 20.ტრუა | 25 | 1 | 8 | 16 | 16-51 | 11 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## ორშაბათი 15 თებერვალი

06.30 მუსიკა 07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 10.50, 23.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 "ფერმა" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "მუსიკოლოგოსი" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმი ოლივერის დიდი ბრიტანეთი" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**უკანასკნელი დაქორწინებული წყვილი ამერიკაში**" (ნ.ვუდი)

08.00 დ/ფ "ლანსის ლუვრის გალერეა" 09.00 მხ/ფ "**ამელია ერჰარტი**" 11.20 ქართ. მხ/ფ "**ნატვრის ხე**" 13.00 დ/ფ "კიდევ სცადე" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 18.00, 21.00, 22.30, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 23.00 "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.20 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 6 სერ. 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 იუმორინა 00.00 მხ/ფ "**მტერი კარიბჭესთან**" (ჯ.ფაინსი) 02.30 სერ. "**პუარო**" 1 სერ. 04.10 ერთხელ საქართველოში 04.50 მხ/ფ "**წვეულებების მეფე - 3**" (კ. კავალარი)

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**ალთქმა**" 22.00 ქ.მხ/ფ. "**რაის ნასონი**" 23.30, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.30, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. 9.00, 15.30 Discovery. ისტორიის საიდუმლოებათა ამოხსნა ოლი სტიდსთან ერთად 10.00 ან/სერ. "**ავატარი ლეგენდა აანგის შესახებ**" 10.30, 2.55 ჯიდიპედია 11.30 შუადღე 14.00, 20.00 ცოლები და ქმრები 14.30, 19.00 სერ. "**ახალი გოგო**" 15.00, 19.30 სერ. "**ცენტრი**" 16.30 აირჩიე კაბა 17.30 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 20.30 20.30 LIVE 22.00 მზარეულები 22.30 მხ/ფ "**კარგი ბიჭები**" 1.00 ID Extra - სასჯელს თითქმის გავექცი 2.00, URBAN STORIES

06.10 მუს.პაუზა 06.15 ივერიის ევლესია "როგორ ყალიბდებოდა აფხაზეთის ისტორია" 06.35 პატერიკი-"მოწყალე მღვდელის შესახებ" 06.45 ქართული ალბომი "ზანდუკელები" 07.20 დ/ფ "სინა" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს. პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**ივანენა**" 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.30 დეკორატიული ფლორა "ქრიზანტემა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.35 წიგნიერების გაკვეთილები 15.50 სპექტაკლი "**მტრედის მოტანილი ბარათები**" I ნაწ. 17.15 დ/ფ "ირაომელოურის მღვიმე" 17.30 წმინდანები "წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი" 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო-ეპისკოპოსის მსახურება 18.05 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.50 ისტორიის დღიური 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**განგაში**" 20.40 ძილი ნებისა "ასფურცელა" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 პატერიკი-"სიბრძნე ბალავარისა-იგავი სამი მეგობრის შესახებ" 21.35 საეკლესიო აღმშენებლობა 22.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.25 დ/ფ ხომლი "ძამის ხეობა" II ნაწ. 01.00 შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო 07.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 02.00 "კონტაქტი" 07.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ქესტიკულაციით) 07.55 "საქმიანი დილა" 10.05 სერ. "**სხვისი სხეული**" 11.05 სერ. "**ქუჩები და გუნები**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30 დ/ფ "პროფესია მოგზაური" 14.05 სერ. "**კარმელიტა**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30, 16.05, 17.05, 01.00 სერ. "**კარმელიტა**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05, 02.30 სერ. "**ბერძენი ქალი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45, 22.30 სერ. "**დამიბრუნე სიყვარული**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

## სამშაბათი 16 თებერვალი

06.30 მუსიკა 07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.30 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 "გურმანია" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "დღე მუზეუმში" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 18.30 **ფეხბურთი**. მსოფლიო ლიგა: **საქართველო – უნგრეთი** 20.30 "ცხოვრება ციფრებში" 21.00 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 დ/ფ "თოფ-გიარი" 22.50 ეპოქის ფრაგმენტი – ზღვის უბანი 22.59 "კომუნიკატორი" 23.00 ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა. 23.40 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა 1/8 ფინალური მატჩი **პსჟ-ჩელსი**. 01.40 მხ/ფ "**ელისაბედი**" (კ.ბლანშეტი)

08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.10 "აფხაზეთი" 11.00 დ/ფ "შავი მატერიის საიდუმლო" 13.00 დ/ფ "როცა ეგვიპტელები წითელ ზღვაზე დაცურავდნენ" 14.00, 16.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.50 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 7 სერ. 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 ცოდნა ფულია 23.00 მხ/ფ "**კოლიბრი**" (ჯ. სტეტჰემი) 01.00 სერ. "**პუარო**" 2 სერ. 02.50 ერთხელ საქართველოში 04.20 მხ/ფ "**მტერი კარიბჭესთან**" (ჯ.ფაინსი)

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**ალთქმა**" 20.50 ლოტო 22.00 არჩევანი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.30, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. 9.00, 15.30 Discovery. ისტორიის საიდუმლოებათა ამოხსნა ოლი სტიდსთან ერთად 10.00 ან/სერ. "**ავატარი ლეგენდა აანგის შესახებ**" 11.00, 22.00 მზარეულები 11.30 შუადღე 14.00, 20.00 ცოლები და ქმრები 14.30, 19.00 სერ. "**ახალი გოგო**" 15.00, 19.30 სერ. "**ცენტრი**" 16.30 აირჩიე კაბა 17.30 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 20.30, 20.30 LIVE 22.30 მხ/ფ "**მაშველი**" 1.00 ID Extra - სასჯელს თითქმის გავექცი 2.00, URBAN STORIES 2.55 ჯიდიპედია

06.10 სპექტაკლი "**მტრედის მოტანილი ბარათები**" I ნაწ. 07.20 დოკ. ფილმი "ივანე ჯავახიშვილი" 07.55 საქართველოს სამართლის ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 პატერიკი-"სიბრძნე ბალავარისა-იგავი სამი მეგობრის შესახებ" 10.40 საქართველოს ქალაქები-ბორჯომი 11.10 თაობა ზეტი 11.30 გამოყენებითი ხელოვნება "ხეზე კვეთა-ბიძინა ჯანუყაშვილი" 11.40 ღვთის სახლი 12.10 მხ/ფ "**განგაში**" 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.30 დეკორატიული ფლორა "დუმფარა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.40 კონცერტი 16.30 მგზავრები წუთისოფლისა "შემოქმედის ეპარქია-სოფ.მაკვენეთი" 17.40 ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია 17.45 სიბრძნისმეტყველება 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 სჯანი "ინდუიზმი" 19.50 ღია აუდიტორია "ინესა მერაბიშვილი" 20.40 ძილი ნებისა "მულტ. კონცერტი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 ჩვენი ფონდი 00.30 ერთსულოვნების სალონი 01.00 შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო 07.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 02.00 "კონტაქტი" 07.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 07.55 "საქმიანი დილა" 10.05 სერ. "**სხვისი სხეული**" 11.05 სერ. "**ქუჩები და გუნები**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30 დ/ფ "პროფესია მოგზაური" 14.05, 15.30, 16.05, 17.05, 01.00 სერ. "**კარმელიტა**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05, 02.30 სერ. "**ბერძენი ქალი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45, 22.30 სერ. "**დამიბრუნე სიყვარული**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

## ოთხშაბათი 17 თებერვალი

06.30 მუსიკა 07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.30 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 დ/ფ "თოფ-გიარი" 12.30 "გურმანია" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "ხანმოკლე XX საუკუნე" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმის საკვების ძიება სტოკჰოლმში" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 დ/ფ "თოფ-გიარი" 22.50 "ეპოქის ფრაგმენტი" – "ჩესვუდის" რაინდები 22.59 "კომუნიკატორი" 23.00 ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა. 23.40 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა 1/8 ფინალური მატჩი: „**რომა**"-„**რეალი**" 01.40 მხ/ფ "**ელისაბედი: ოქროს ხანა**" (კ.ბლანშეტი)

08.00, 10.10, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 12.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა 23.00 "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 8 სერ. 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 სტუმრად იუმორინასთან 00.30 მხ/ფ "**იღბლიანი სლევინი**" (ბ.უილისი) 02.40 სერ. "**პუარო**" 3 სერ. 04.20 ერთხელ საქართველოში 04.50 მხ/ფ "**კოლიბრი**" (ჯ. სტეტჰემი)

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**ალთქმა**" 22.00 ნანუკას შოუ 00.00 გააცინე და მოიგე 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.30, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. 9.00, 15.30 Discovery. ისტორიის საიდუმლოებათა ამოხსნა ოლი სტიდსთან ერთად 10.00 ან/სერ. "**ავატარი ლეგენდა აანგის შესახებ**" 11.00, 22.00 მზარეულები 11.30 შუადღე 14.00, 20.00 ცოლები და ქმრები 14.30, 19.00 სერ. "**ახალი გოგო**" 15.00, 19.30 სერ. "**ცენტრი**" 16.30 აირჩიე კაბა 17.30 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 20.30 LIVE 22.30 მხ/ფ "**ჯითრი**" 0.35 ID Extra - სასჯელს თითქმის გავექცი 1.30, URBAN STORIES 2.25 ჯიდიპედია

06.10 მუს.პაუზა 06.15 დროის ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 ქრისტიანული ხელოვნება 11.15 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 11.30 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან 12.10 ღია აუდიტორია 13.00 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.30 დეკორატიული ფლორა "კიპარისი" 15.10 ქართული ან/ფ 15.20 დ/ფ 16.00 კონცერტი 17.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დ/ფ "ორი სამშობლო" 20.40 ძილი ნებისა "წმ. ნინო ისმენს მაცხოვრის შესახებ" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ 01.00 შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო 07.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 02.00 "კონტაქტი" 07.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 07.55 "საქმიანი დილა" 10.05 სერ. "**სხვისი სხეული**" 11.05 სერ. "**ქუჩები და გუნები**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30 დ/ფ "პროფესია მოგზაური" 14.05, 15.30, 16.05, 17.05, 01.00 სერ. "**კარმელიტა**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05, 02.30 სერ. "**ბერძენი ქალი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**დამიბრუნე სიყვარული**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.30 სერ. "**დამიბრუნე სიყვარული**"

## ხუთშაბათი 18 თებერვალი

06.30 მუსიკა 07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 დ/ფ "თოფ-გიარი" 12.30 "ტრანსმისია" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმის ამერიკული საგზაო თავგადასავალი" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "ინტერვიუ" – სალომე ასათიანთან ერთად 21.00 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 დ/ფ "თოფ-გიარი" 23.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**კასოზრილის შვილი**" (ჯ.მური)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 11.00 დ/ფ "ვისუნთქოთ ან არ ვისუნთქოთ" 13.00 დ/ფ "პროფესორ ომიშენის წარმოუდგენელი მფრინავი მანქანები" 14.00, 16.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.25 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 10.05 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 9 სერ 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 00.00 მხ/ფ "**პირდაპირი მუქარა**" (უ.დეფო) 02.35 სერ. "**პუარო**" 4 სერ. 04.15 ერთხელ საქართველოში 04.40 მხ/ფ "**იღბლიანი სლევინი**" (ბ.უილისი)

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**ალთქმა**" 22.00 პროფილი 00.00 P.S. 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.30, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. 9.00, 15.30 Discovery. ისტორიის საიდუმლოებათა ამოხსნა ოლი სტიდსთან ერთად 10.00 ან/სერ. "**ავატარი ლეგენდა აანგის შესახებ**" 11.00, 22.00 მზარეულები 11.30 შუადღე 14.00, 20.00 ცოლები და ქმრები 14.30, 19.00 სერ. "**ახალი გოგო**" 15.00, 19.30 სერ. "**ცენტრი**" 16.30 აირჩიე კაბა 17.30 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 20.30 20.30 LIVE 22.30 ბინა 18 23.30 მხ/ფ "**სიკვდილის მზადებისი**" 0.55 ID Extra - სასჯელს თითქმის გავექცი 1.55, URBAN STORIES 2.45 ჯიდიპედია

06.15 ჩვენი ფონდი 06.40 პატერიკი 06.50 სჯანი "ინდუიზმი" 07.05 ქართული ალბომი 07.50 ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 სიბრძნისმეტყველება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ერთსულოვნების სალონი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 დ/ფ "ორი სამშობლო" 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.30 დეკორატიული ფლორა "ურთხმელი" 15.05 ივერიის ეკლესია 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.50 ჩვენი ფონდი 16.20 დ/ფ "მაცხოვრის სუდარა" 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო-ეკლესიის მსახურება 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 პორტრეტები 20.00 სიმღერის კვალდაკვალ 20.40 ძილი ნებისა "ეკლესიური ცხოვრება" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 თვენი 21.30 ლექციები მეფეუტკრეობაზე 21.45 ფსალმუნის განმარტება 22.25 დ/ფ "ქართული გალობა რომში" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ 01.25 შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო 07.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 02.00 "კონტაქტი" 07.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 07.55 "საქმიანი დილა" 10.05 სერ. "**სხვისი სხეული**" 11.05 სერ. "**ქუჩები და გუნები**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30 დ/ფ "პროფესია მოგზაური" 14.00 "კონტაქტი" 14.05, 15.30, 16.05, 17.05, 01.00 სერ. "**კარმელიტა**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05, 02.30 სერ. "**ბერძენი ქალი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45, 22.30 სერ. "**მხსნელი სიყვარული**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

## პარასკევი 19 თებერვალი

06.30 მუსიკა 07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 23.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 "ადამიანი კამერით" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "წიგნების თარო" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 "პროექტი ზღვარზე ტელებლოგში" 21.30 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**მძინარენი**" (ბ.პიტი)

08.00, 10.10, 22.30, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 12.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა 21.00 **ძიუდო**: საერთაშორისო ტურნირი – გრან პრი 23.00 "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.10 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 10.05 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 10 სერ. 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 პოლიტიკა 23.30 მხ/ფ "**ბაზა**" (ჯ.ტრავოლტა) 01.20 მხ/ფ "**სიყვარულისა და დანების ისტორია**" (კ. მორი) 03.05 მხ/ფ "**პირდაპირი მუქარა**" (უ.დეფო) 05.20 მხ/ფ "**უკანასკნელი ლეგიონი**" (ბ.კინგსლი)

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**ალთქმა**" 20.50 ლოტო 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30, 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.30, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. 9.00 Discovery. ისტორიის საიდუმლოებათა ამოხსნა ოლი სტიდსთან ერთად 10.00 ან/სერ. "**ავატარი ლეგენდა აანგის შესახებ**" 11.00 მზარეულები 11.30 შუადღე 14.00, 20.00 ცოლები და ქმრები 14.30, სერ. "**ახალი გოგო**" 15.00, 19.00 სერ. "**ცენტრი**" 15.30 Discovery. ფულის საიდუმლო 16.30 აირჩიე კაბა 17.30 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 20.30 20.30 LIVE 22.00 მხ/ფ "**წაიყვანე ბერძნულში**" 23.55 ID Extra - სასჯელს თითქმის გავექცი 0.55, 2.45 URBAN STORIES 1.45, ჯიდიპედია

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 დ/ფ "სამთავროს დედათა მონასტერი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექციები მეფეუტკრეობაზე 11.25 მოკ. მხ/ფ 12.10 პორტრეტები 13.15 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.30 დეკორატიული ფლორა "მაგნოლია" 15.10 ქართ ან/ფ 15.30 კონცერტი 16.40 ტელეზღაპრები "თხა და ციკნები" 17.00 მიწათმოქმედი "მევენახეობა და მეღვინეობა" 17.20 დ/ფ "ქართული გალობა რომში" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ფონდი 20.00 თაობა ზეტი "ქუჩის ცხოვრება" 20.40 ძილი ნებისა "ილია II" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები "თამარ ციციშვილი" 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ხმა უდაბნოში-დავით გარეჯი" I ფ. 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 თბილისის ტაძრები "ზემო ბეთლემი" 00.35 დ/ფ 01.00 შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო 07.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 02.00 "კონტაქტი" 07.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 07.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 სერ. "**სხვისი სხეული**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 14.05, 15.30, 16.05, 17.05, 01.30 სერ. "**კარმელიტა**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "**ბერძენი ქალი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**მხსნელი სიყვარული**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.30 სერ. "მხსნელი სიყვარული" 23.30 "კონტაქტი"

## შაბათი 20 თებერვალი

08.00 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 08.30 "პირადი ექიმი" 09.30 ან/ფ "მადაგასკარის პინგვინები" 11.00 საბ/ფ "მეფე-ბაყაყი" 12.00, 14.00, 16.00 მოამბე 12.15 "გურმანია" 12.45 ქართ. მხ/ფ "**ნამდვილი თბილისელები**" 14.05 **კალათბურთი**. საქართველოს სუპერლიგა. "**სოხუმი**"-"**ქუთაისი**". (პირდაპირი) 16.30 დ/ფ "თოფ-გიარი" 17.30 "მუსიკოლოგოსი" 18.00 გურამ ბზვანელი შემოქმედებითი საღამო. 19.30 "წიგნების თარო" 20.30 "ხანმოკლე XX საუკუნე" 21.00 "ადამიანი კამერით" 21.30 "ტრანსმისია" 22.00 "ბრაუზერი" 22.15 "წითელი ზონა" 23.15 მხ/ფ "**თარჯიმანი**" 01.30 მხ/ფ "**შიში და სიძულვილი ლას-ვეგასში**" 03.30 "მუსიკოლოგოსი" 04.00 "ხანმოკლე XX საუკუნე" 04.30 "ადამიანი კამერით"

08.00, 10.10, 16.00 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 დ/ფ "გზის თეატრის თავგადასავალი" 12.00 დ/ფ "ნამდვილი პანამა" 13.00 მხ/ფ "**იდიალური მამაკაცი**" 14.40 დ/ფ "ვენეცია" 15.00 დ/ფ "ბავშვობის შავი ლაქები" 17.00 "სუპერ-ეგო" 18.00 დ/ფ "ანატოლიის გარგარი" 19.00 "ეპიცენტრი" 20.00 **ძიუდო**: საერთაშორისო ტურნირი – გრან პრი 22.30 "ჩვენი პარლამენტი" 23.00 მხ/ფ "**შესვლა**" (ა.ჯოლი)

07.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 08.00 მხ/ფ "**სიყვარულისა და დანების ისტორია**" 10.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.20 ქრონიკა 11.15 რისკ ფაქროტი 11.45 ილო ბეროშვილის შოუ 13.00 კულინარიული დუელი 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.00 ქრონიკის სტუდია 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ** - 5" 3 სერ. 23.00 მხ/ფ "**ნონ-სტოპი**" (ჯ.მური) 01.00 მხ/ფ "**წყვდიადის სამეფო: ევოლუცია**" (მ.შინი) 02.50 მხ/ფ "**ბაზა**" 04.20 მხ/ფ "**უკანასკნელი ლეგიონი**" (ბ.კინგსლი) (ტიტ.)

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30, 09.00 ანიმაცია 11.00 ექიმები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 კომედი შოუ 15.30 ქ.მხ/ფ. "**რაის ნასონი**" 18.30 ევროპაბეთი - გათამაშება 18.50 იღბლიანი ბორბალი 20.05 გააცინე და მოიგე 23.00, 1.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.30, 20.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. 9.00 მხ/ფ "**ბეტმენი დასაწყისი**" 11.30 Discovery. ძაღლების მომთვინიერებელი 12.00 ეკოვიზია 13.00 სერ. "**მსახიობი მამა**" 14.00 მხ/ფ "**ნიღაბი**" 16.00 Discovery. შეუცნობელში მოგზაურობა ჯოშ ბერნშტეინთან ერთად 17.00 მხ/ფ "**გოგონა წყალში**" 19.00 სერ. "**მტაცებელთა ქალაქი**" 19.30 სერ. "**ინტერესის ობიექტი**" 21.00, 2.30, ჯიდიპედია 22.00 კიმონო 23.00 მხ/ფ "**ჰიტმენი**" 0.40 ID Extra - სასჯელს თითქმის გავექცი 1.40 URBAN STORIES

06.10 მუს.პაუზა 06.15 საეკლესიო აღმშენებლობა 06.40 თბილისის ტაძრები "ზემო ბეთლემი" 06.50 ეპოქის სახელები 07.20 მოგზაურობა სამშობლოში "ხმა უდაბნოში-დავით გარეჯი" I ფ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15, 19.00, 22.00, 00.35 სიახლენი 10.35 კონცერტი 11.00 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 12.10 დ/ფ "ორი სამშობლო" 14.00 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ანიმაციური ფილმი 15.40 თაობა ზეტი 16.40 კვირიაკე 17.20 გაცოცხლებული წარსული "სახიობა" 18.10 საქართველოს ისტორია "დამოუკიდებლობის აღდგენა" 18.35 საქართველოს სამართლის ისტორია 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.25 ქართული ალბომი 19.45 ქრისტიანული ხელოვნება 20.20 "მეზვერისა და ფარისევლის კვირა" მამა მაქსიმე 20.50 სიბრძნისმეტყველება 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების სალონი 22.20 შუადღის სტუმარი 22.40 ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 სჯანი 00.05 დროის ჩანაწერები 01.45 მხ/ფ "**შესანიშნავი შვიდეული**"

მაესტრო 7.00, 10.00, 14.00, 18.00, 19.00, 23.30 "კონტაქტი" 07.30 ანიმაცია "ტარზანი" (ჟესტიკულაციით) 08.30 დ/სერ. "ზარტ ვულფი" 09.30, 00.00 სერ. "**სახლი შროშანებით**" 10.30 დ/ფ "პროფესია მოგზაური" 11.00, 02.30 სერ. "**ლამაზი ცხოვრება**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 15.30 სერ. "**კარმელიტა**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 18.30 დ/სერ. "მსოფლიო საუკეთესო სახლები" 19.05, 01.00 სერ. "**ქალთა ექიმი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.30, 22.30 სერ. "**მხსნელი სიყვარული**" 21.30 თოქ-შოუ "SWAT-ანალიზი"

## კვირა 21 თებერვალი

08.00 "წიგნების თარო" 08.30 "პირადი ექიმი" 09.30 ან/ფ "მადაგასკარის პინგვინები" 11.00 საბ/ფ "გაცვეთილი ფეხსაცმელი" 12.00, 16.00 მოამბე 12.15 "გურმანია" 12.45 "ფერმა" 13.15 ქართ. მხ/ფ "**წუთისოფელი**" 15.00 "დღე მუზეუმში" 15.30 "სიტყვების თამაში" 16.10 "ვაშინგტონი დღეს" 16.30 დ/ფ "თოფ გიარი" 17.30 მხ/ფ "**კაპიტანი ნიუმენი" მედიცინის დოქტორი**" (ტ.კერტისი) 19.30 "წიგნების თარო" 20.00 "კვირის მოამბე" 21.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 21.40 "უცნობი მუსიკა" 23.10 "ვექტორი" 23.40 "ბრაუზერი" 00.00 მხ/ფ "**აუტანელი სისასტიკე**" (კ.ზეტა-ჯონსი) 01.40 მხ/ფ "**სასიკვდილო რბოლა**" (ჯ.სტეტჰემი)

08.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 დ/ფ "ჯანმრთელობა ევროპაში" 10.00 ქართ. მხ/ფ "**ლოლიტა**" 11.30 დ/ფ "ავსტრალია" 12.00, 18.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომები 17.00 "აფხაზეთი" 20.00 **ძიუდო**: საერთაშორისო ტურნირი – გრან პრი 22.30 დ/ფ "დიდებული დუნაი" 23.00 "ნამდვილი დრო" – კვირის დაიჯესტი 23.30 მხ/ფ "**თვალსა და ხელს შორის**" (ჯ.ლოპეზი)

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.00 მხ/ფ "**ქარიშხლის მაცნეები**" 09.00 მხ/ფ "**მეფის გვარდიელები**" (ე.რობერტსი) 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ** - 5" 13.00 სტუმრად იუმორინასთან 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.30 მხ/ფ "**სხვა ცხოვრების დასაწყისი**" (ა.ეკჰარტი) 19.30 რისკ ფაქროტი 20.30 ილო ბეროშვილის შოუ 21.30 ერთხელ საქართველოში 22.00 მხ/ფ "**წითელი განთიადი**" (ჯ.პეკი) 00.00 მხ/ფ "**კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯუნგლებში**" (ა.ბროუდი) 01.40 მხ/ფ "**ნონ-სტოპი**" 03.30 ერთხელ საქართველოში 04.45 მხ/ფ "**წყვდიადის სამეფო: ევოლუცია**"

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ანიმაცია "" 09.00 ქ.მხ/ფ. "**მიმინო**" 11.00 ეკი ვოკი 12.00, 15.00, 18.00 კურიერი 12.30 ქერის უბანი 12.45 ვანოს შოუ 13.30 იღბლიანი ბორბალი 15.30 მხ/ფ. "**X – MEN: DAYS OF FUTURE PAST**" 18.30 ექიმები 20.00 კომედი შოუ 21.00 P.S. 23.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.30, 20.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. 9.00 მხ/ფ "**ბნელი რაინდი**" 11.35 Discovery. ძაღლების მომთვინიერებელი 12.00 ეკოვიზია 13.00 სერ. "**მსახიობი მამა**" 14.00 მხ/ფ "**ჩლუნგი და უფრო გონებაჩლუნგი**" 16.00 Discovery. ამას როგორ აკეთებენ 17.00 მხ/ფ "**მუსიკა და ლირიკა**" 19.00 სერ. "**მტაცებელთა ქალაქი**" 19.30 სერ. "**ინტერესის ობიექტი**" 21.00, 59 წამი 22.30 მხ/ფ "**დამალობანა**" 0.20 ID Extra - სასჯელს თითქმის გავექცი 1.15, 3.10, 5.00 URBAN STORIES 2.10, ჯიდიპედია

06.10 მუს.პაუზა 06.20 მოკ. მხ/ფ "**თავადის ქალი მაია**" 07.10 მულტ/ფ "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 საკვირაო სახარების განმარტება 08.40 საეკლესიო აღმშენებლობა 08.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 სიახლენი 10.25 ივერიის ეკლესია 10.40 შუადღის სტუმარი 10.00 სიბრძნისმეტყველება 11.15 ქართული ალბომი 11.40 ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია 12.15 მხ/ფ "**ჩიორა**" 13.30 ქრისტიანული ხელოვნება 14.15 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 ანიმაციური ფილმი 15.40 სჯანი 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.50 ეპოქის სახელები 17.25 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 18.30 დროის ჩანაწერები 19.15 მხ/ფ "**მამლუქი**" 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.05 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 23.15 საქართველოს სამართლის ისტორია 00.30 პორტრეტები 01.20 მხ/ფ "**შესანიშნავი შვიდეული**"

მაესტრო 7.00, 10.00, 14.00, 18.00, 23.30, 1.00 "კონტაქტი" 07.30 ანიმაცია "ტარზანი" (ჟესტიკულაციით) 08.30 დ/სერ. "ზარტ ვულფი" 09.30, 01.30 სერ. "**სახლი შროშანებით**" 10.30 დ/ფ "პროფესია მოგზაური" 11.00 სერ. "**ლამაზი ცხოვრება**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 15.30 სერ. "**კარმელიტა**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 18.30 დ/ფ "მსოფლიოს საუკეთესო სახლები" 19.00, 02.30 სერ. "**ქალთა ექიმი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.30 სერ. "**მხსნელი სიყვარული**" 22.00 მინი/სერ. "**ქალბატონი მოსამსახურე**"

# „სიმინდის კუნძული“ მაროკოში დააჯილდოვეს



გიორგი ოვაშვილის ფილმი „სიმინდის კუნძული“ მაროკოში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე დააჯილდოვეს. რაბათში გამართულ კინოფესტივალზე ფილმმა ჟიურის სპეციალური პრიზი მიიღო. რაბათის საერთაშორისო კინოფესტივალი მაროკოში 1994 წლიდან იმართება.

გიორგი ოვაშვილის ფილმი კინოფესტივალის მთავარ საკონკურსო პროგრამაში იღებდა მონაწილეობას. დაჯილდოვების ცერემონიალს „სიმინდის კუნძულის“ რეჟისორი გიორგი ოვაშვილი და ფილმში მთავარი როლის შემსრულებელი მარიამ ბუთურიშვილი ესწრებოდნენ.

„სიმინდის კუნძული“ ხელოვნურად შექმნილ კუნძულზეა გადაღებული, რომელიც ტყიბულის წყალსაცავზე აშენდა. ფილმში მოქმედება მდინარე ენგურზე, გაზაფხულის წვიმების შედეგად წარმოქმნილ პატარა კუნძულზე ვითარდება, სადაც გლეხები გაზაფხულის წყალდიდობის შემდეგ წარმოქმნილ კუნძულებზე სიმინდის მოსაყვანად ნოყიერი ნიადაგის მოძებნას ცდილობენ.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის საზღვარზე, მდინარე ენგურის მიერ შექმნილ პატარა კუნძულზე მოხუცი აფხაზი სახლდება თავის მოზარდ შვილიშვილთან ერთად, ფიცრულ ქოხს აშენებს და სიმინდს თესავს.

სცენარი ფილმისათვის სამი წლის განმავლობაში იქმნებოდა. „სიმინდის კუნძული“ ფსიქოლოგიური დრამაა და მისმა ბიუჯეტმა 1,5 მილიონი ევრო შეადგინა. ფილმი 6 ქვეყნის საქართველოს, გერმანიის, საფრანგეთის, ჩეხეთის, ყაზახეთისა და უნგრეთის ერთობლივი პროდუქცია.

ფილმმა, როგორც მოსალოდნელი იყო, საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა და კამათი გამოიწვია. ქართველი მაყურებლის ნაწილმა ფილმი განსაკუთრებულად მოიწონა, ნაწილმა დაიწუნა, ნაწილმა კი რეჟისორი პედოფილიაში დაადანაშაულა.

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ფილმი წარმატებით აგრძელებს მოგზაურობას მსოფლიოს გარშემო, მონაწილეობს საერთაშორისო კინოფესტივალებში და მაყურებელს სხვადასხვა ქვეყნის კინოთეატრებში ელოდება.

ეკა ირემაშვილი

# „ნიჭიერის“ გიორგი და მეგი დაქორწინდნენ




სახალხო შოუ „ნიჭიერის“ ერთ-ერთი ბოლო სეზონის მონაწილეები გიორგი გიგაური და მეგი მიშველიძე დაქორწინდნენ. მოცეკვავეების გაბედნიერების შესახებ ინფორმაცია „ნიჭიერის“ ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

— გიორგიმ და მეგიმ ფინალზე პრიზები მიიღეს კრედიტიონ.ჯისგან და სადაზღვევო კომპანია „უნისონისგან“. მათ ძალიან კარგად გამოიყენეს განკუთვნილი საჩუქრები, ჩვენ კი მივულოცოთ დაოჯახება ორივე მათგანს!

მხედველობის პრობლემის მქონე გიორგიმ და სმენის პრობლემის მქონე მეგიმ „ნიჭიერის“ მეექვსე სეზონში თავისი ორიგინალური ცეკვით პროექტის ჟიურის და მაყურებლის მოხიბვლა შეძლეს. მათ წარმატებით გაიარეს შესარჩევი ტური, ნახევარფინალები, ფინალშიც მოხვდნენ და პროექტის სპონსორი კომპანიებისგან პრიზებიც დაიმსახურეს.

გიორგიმ და მეგიმ განაცხადეს, რომ „ნიჭიერის“ შემდეგ მათი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა, უფრო პოპულარულები გახდნენ და მეტი გულშემატკივარი გაუჩნდათ. ორივე მოცეკვავემ ეს პერიოდი პირადი ცხოვრების მოსაწყობად გამოიყენა და დაოჯახდა. „ნიჭიერის“ ოფიციალური გვერდის განცხადებამ მაყურებელში დაბნეულობა გამოიწვია, რადგან ყველას ეგონა, რომ მეგი და გიორგი ერთმანეთზე დაქორწინდნენ, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ისინი ნამდვილად დაქორწინდნენ, მაგრამ არა ერთმანეთზე. როგორც გაირკვა, ორივე მათგანს ჰყავდა თავისი რჩეული და პროექტის დასრულების შემდეგ მათ ოჯახები საყვარელ ადამიანებთან შექმნეს.

ეკა ირემაშვილი

# სამგლოვიარო განცხადებები

მურმან წახნაკია ოჯახით ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს შვილებს იასა და ნინოს მამის, ძმა გივის ოჯახებს ნათესავებისა და მეგობრების უსაზღვრო მოსიყვარულის

**ჟორა (გიორგი) წურწუმიას**

გარდაცვალების გამო.



ჯონი, ზვიად და ილო გერგედავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ოთარ სერგოს ძე გიორგობიანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# „აბესალომ და ეთერის“ კრიტიკა გრძელდება

ეკა ირემაშვილი



განახლებულ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ წარმოდგენის შემდეგ, საზოგადოების მხრიდან მისი შეფასებები არ წყდება. დამსწრე საზოგადოების მიერ პრემიერაზე ქურქებით მისვლის ეიფორიამ რომ ჩაიარა, ახლა მონაწილეთა კოსტიუმების გაკრიტიკების ჯერი დადგა.

ფილოლოგმა და ქართველოლოგმა მანანა სოტკილავამ განახლებული ოპერა გააკრიტიკა და შემოქმედებითი ჯგუფი არაქართულობასა და ღარიბი დეკორაციების შექმნაში დაადანაშაულა.

**მანანა სოტკილავა:**

— „შუბების-ბილეთების და ისევ შუბების“ გამოფენის ფართოდ განხილვისა და ეკა ხოფერიას, არც მეტი და არც ნაკლები, გაუზრდელი ადამიანის თავხედობით საზოგადოებისთვის შეთავაზებულ მორიგ შოუდ „საოპერო გადარბენის“ შემდეგ, გამოჩნდა ვინმე მაყურებელი, რომელიც სოციალურ ქსელში წერს „დიდებულ სპექტაკლზე, რომლითაც აღფრთოვანებული ვართ ყველა, თბილისელებიც და ჩამოსული სტუმრებიც...“

აი, ამ ნათქვამის პასუხად გადავწყვიტე, განახლებული სპექტაკლის თაობაზე ჩემეული ხედვა შემოგთავაზოთ:

— იქ ქართული მხოლოდ ოპერის სათაური, მუსიკა და „ეთერიანის“ სიუჟეტი იყო... სხვა დანარჩენი თავის კოსტუმებით და ღარიბი დეკორაციებით, სხვა რომ არა, გლეხის გოგო ეთერის და აბესალომ მეფის შეხვედრის ადგილი, ტყე და მეფის სასახლის ზეიმქორწილი ერთი და იგივე დეკორაციებით რა ინოვაციაა, ძალიან საინტერესოა? ბრჭყვიალ-ბრჭყვიალა ფერებით არაქართული გახლდათ! უფრო აზიურ-ეგვიპტურ თუ რაღაც ამის მსგავსი.

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ალბათ აპირებენ ვერდის ოპერა „ნაბუქოც“ დადგან და კოსტუმებს „აბესალომ და ეთერიდან“ ინათხოვრებენ ხოლმე, რადგან ეს საზიაროდ შექმნილი კოსტუმები მას უფრო შეეფერება, ვიდრე ქართულ სინამდვილეს!!!

დიდებული „ეთერი“ იყო ქალბატონი თამარ ივერი, მადლობა და ბრავო მას!!!!

ჩვენ, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ბედისადმი სიმბოლურად მიძღვნილი ამ ეროვნული ოპერის ძველი დადგმების დიდებულება მოგვდევს და მართალია, გამეორებას ანუ ზუსტ კოპირებას არ ვითხოვდით, მაგრამ განახლებული დადგმა, კარგი იყო, ქართულ რეალობას არ აცდენოდა.

ქართული მელოდიის ევროპული სამოსელით შემკობილი ეროვნული ოპერა ჩვენი სავიზიტო ბარათი უნდა ყოფილიყო მთელს მსოფლიოში და არა სხვა კულტურის ფერთა სიუხვით აჭრელებული, რაც არ უნდა ბევრი დოლარი დახარჯულიყო და ბევრი ოქრო არ დაბერტყილიყო მის შესაქმნელად!!!!

# ასტროპროგნოზი

13 თებერვალი



**ვერძი** — მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გიუმჯობესდებათ. ადრე დადებული საქმიანი გარიგებები საკმაოდ დიდ მოგებას მოგიტანთ. **კურო** — კარგი პერიოდია საქმიანი მოლაპარაკებებისა და ახალი კონტრაქტების დასადებად. ასევე გაუმართლებთ მათ, ვისაც ოჯახის შექმნა სურს. **ტყუპები** — ემოციური თვალსაზრისით სახიფათო დღეა. ყოველგვარი შეხვედრა სხვა დროისათვის გადადეთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის წევრებს. **კირჩხიბი** — საკმაოდ დასამახსოვრებელი დღეა. გაგიმახვილდებათ ინტუიცია. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. **ლომი** — ბედი შანსს გაძლევთ, გაიუმჯობესოთ მატერიალური მდგომარეობა. კეთილისმყოფელი დღეა. თქვენს ნიჭსა და უნარს მთელი სისრულით წარმოაჩენთ. **ქალწული** — ენერგია გემატებათ. იზრდება თქვენი შემოქმედებითი და სექსუალური პოტენციალიც. საღამოს, სავარაუდოდ, ნათესავებთან ურთიერთობა გაგირთულდებათ. **სასწორი** — ოჯახში ჰარმონია და სიყვარული თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას გონივრულად მიიღებთ. **ღრიანკალი** — შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს ფორტუნა გიღიმით. ასევე წარმატებული დღეა საბიუჯეტო სფეროს მუშაკებისთვის. ინტუიციას ნუ მიენდობით, რეალობის აღქმა შეინარჩუნეთ. **მშვილდოსანი** — აქტიური და შემოქმედებითი დღეა. მიზანი დაისახეთ და მის განხორციელებას შეუდექით, ოღონდ თავს ნუ დაკარგავთ. გრძნობები აკონტროლეთ. **თხის რქა** — ოპტიმიზმი და სიცოცხლის სიყვარული წარმატებას მოგიტანთ პროფესიულ საქმიანობაში. ემოციებს არ აჰყვეთ. მშვიდად იმუშავეთ. **მერწყული** — შესაძლოა, ახალი სამსახური იშოვოთ. ამაში კრეატიულობა და იდეების მოზღვავება დაგეხმარებათ. საკუთარ თავში ახალ რესურსებს აღმოაჩენთ. **თევზები** — სამუშაო თქვენგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს, თუმცა შრომა დაუფასებელი არ დარჩება. დღის მეორე ნახევარში პლანეტები ბუნებაში გასვლასა და დასვენებას გირჩევენ.

14 თებერვალი

**ვერძი** — პლანეტები გმფარველობენ. ყველა საქმე გამოგდით. დღეს განსაკუთრებით გამოვლინდება თქვენი ორატორული ნიჭი. **კურო** — გიჯობთ, ეს დღე საყვარელი ადამიანების გარემოცვაში გაატაროთ. ყველაფერში წინდახედულობა გამოიჩინეთ. ბიზნესპარტნიორებთან ურთიერთობა წარმატებას მოგიტანთ. **ტყუპები** — დღეს სამსახური თქვენგან მაქსიმალურ კონცენტრაციას, დისციპლინასა და ორგანიზებულობას მოითხოვს, თუმცა გაითვალისწინეთ, წარმატება შესაძლოა მხოლოდ ილუზია იყოს. **კირჩხიბი** — ვარსკვლავები მშვიდ და ჰარმონიულ ოჯახურ ურთიერთობას გპირდებიან. ქალებს, სავარაუდოდ, ახალი თაყვანისმცემელი გამოგიჩნდებათ. **ლომი** — იზრდება შრომის ნაყოფიერება. იზრუნეთ საკუთარ იმიჯზე, იყავით პრინციპული, თუმცა გონივრულ კომპრომისზე წასვლაც არ დაგაზარალებთ. **ქალწული** — ერიდეთ მატყუარებს. ქრონიკული ავადმყოფობები მწვავდება. სამსახურშიც პრობლემებია მოსალოდნელი, თუმცა სერიოზულ კონფლიქტამდე საქმე არ მივა. **სასწორი** — სასიცოცხლო პოტენციალი გიქვეითდებათ. უფროსობასთან კონფლიქტი გელით. შესაძლოა, სამსახურსაც კი დაემშვიდობოთ. აუცილებელია, მოვლენები რეალურად შეაფასოთ. **ღრიანკალი** — მშვენიერი პერიოდი გაქვთ. ძველი კავშირების აღდგენა და განმტკიცება წარმატებას მოგიტანთ. საღად იაზროვნეთ და მოვლენები ადეკვატურად შეაფასეთ. **მშვილდოსანი** — კეთილისმყოფელი დღეა. პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილი არიან. კოლეგებთან, მეგობრებთან და ნათესავებთან საუკეთესო ურთიერთობა გაქვთ. მოსალოდნელია რომანტიკული ნაცნობობა. **თხის რქა** — ენერგიულად ხართ. კარგი პერიოდია ძველ მეგობრებთან შესახვედრად, სამოგზაუროდ. რასაც ჩაიფიქრებთ, ყველაფრის რეალიზებას მოახერხებთ. **მერწყული** — შესაძლებლობა გეძლევათ, ახალი საინტერესო ადამიანები გაიცნოთ. მათთან ურთიერთობა სასიკეთოდ წაგადგებათ. დაიცავით კვების რეჟიმი. **თევზები** — მშვიდი და პასიური დღეა. გუნდური მუშაობა წარმატებული იქნება. ნუ ეცდებით, იყოთ ორიგინალური. თავმდაბლად იშრომეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მსხვილი ფინანსურ-სამრეწველო, სააქციო გაერთიანება; 2. უძველესი ქართული ხალხური ცეკვა სიმღერით, სრულდებოდა ახალ წელს; 3. ხელოვნური მარმარილო; 4. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 5. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 10. ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი სტატია, პუბლიკაცია; 11. ძველებური ასტროლოგიური წიგნი; 12. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 15. მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ყველა პარტიის ერთობლიობა; 16. პატარა, იუმორისტული საესტრადო პიესა; 17. იაპონური თოჯინების თეატრი; 20. სამეცნიერო კვლევების საერთაშორისო ცენტრი შვეიცარიაში.

**თარაზულად:** 6. მადნეულის გამდიდრების შედეგად მიღებული პროდუქტი; 7. პატარა საოქრომჭედლო გრდემლი; 8. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 9. შავი და თეთრი ფერის შრეებისგან შემდგარი მინერალი, აქატის ნაირსახეობა; 13. მუსლიმთა სასულიერო პირი; 14. გია დანელიას კინოკომედია; 18. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 19. აეროპორტი პარიზში; 21. ცეცხლგამძლე კარადა; 22. ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ვიწრო ზოლი; 23. სერბი კინორეჟისორი; 24. ანტიკური ორთვლიანი ოთხცხენა ეტლი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ლაშქარი; 2. გერნიკა; 3. ცილინდრი; 4. პუდელი; 5. ფერხული; 8. ბიბლისი; 9. სახარება; 12. ბერნარდი; 13. ხილნარი; 16. გაგრიფში; 17. გუდვილი; 19. ალუმი; 20. მექისე.

**თარაზულად**: 6. ჯარაექიმი; 7. კუბდარი; 8. ბრიუგე; 10. კაოლინი; 11. წულა; 14. კვიპროსი; 15. ქრისტინე; 18. ხაიამი; 21. ღერღედი; 22. ტენგე; 23. ისრიმი; 24. ტიტესტერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. პერკუსია; 2. სლოგანი; 3. დიეტა; 4. მურმანი; 5. კალორია; 10. ვესტერნი; 11. სერვანტესი; 12. კრიკინა; 15. პომოლოგია; 16. იბერია; 17. სტატიკა; 20. ნოკია.

**თარაზულად**: 6. მეგალომანია; 7. ფუტზალი; 8. ატაკამა; 9. ასტანა; 13. საკე; 14. ვეზირი; 18. აკვალანგი; 19. ატაშე; 21. ზონდი; 22. ქაშერი; 23. სამთავისი; 24. ტრაქტატი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**13 თებერვლისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4816

ევრო — 2.792

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5998

100 რუსული რუბლი — 3.1509

**ამინდის პროგნოზი 13 თებერვლისთვის**






## კალეიდოსკოპი

### რაიან რეინოლდსი ყველაზე სექსუალური მამაა

ჰოლივუდის მსახიობი რაიან რეინოლდსი ჟურნალ პიპლის ვერსიით, ყველაზე სექსუალური მამა გახდა. ამის თაობაზე განცხადება ჯიმი ფელონის შოუში გაკეთდა.

როგორც რეინოლდსი ხუმრობდა, თუ „სამეცნიერო თვალსაზრისით მივუდგებით“, რა უნდა იყოს მოსიყვარულე მამაკაცზე სექსუალური, „ბავშვების წარმოება“ და შემდეგ ამის თაობაზე საკუთარი გაკვირვების გამოხატვა.

მსახიობმა ასევე ისაუბრა იმაზე, რომ მის ოჯახში ყველაფერი შესანიშნავადაა და რომ მისი ერთი წლის გოგონა უკვე დადის და ლაპარაკობს. შეგახსენებთ, რომ რეინოლდსი დაქორწინებულია მსახიობ ბლეიკ ლაივლიზე. მათ შვილი 2014 წლის დეკემბერში ეყოლათ.




### ინდოეთში რეციდივისტი თხა დააკავეს

ინდოეთის ჩხატისგარხის შტატში რეციდივისტი თხა, სახელად ბაბლი დააკავეს. მას სერიოზული კრიმინალური წარსული აქვს.

მაგალითად, არც ისე დიდი ხნის წინ ის ადგილობრივი მაგისტრის ბაღში შეიპარა და ყვავილები და ბალახი შეჭამა. პოლიციაში მამულში უკანონოდ შეჭრის თაობაზე საჩივარი იქნა შეტანილი და „შემთხვევის“ ადგილზე სამართალდამცავები გამოცხადდნენ.

როგორც პოლიციელებმა განმარტეს, ბაბლის პატრონი არაერთხელ იქნა გაფრთხილებული. საბოლოოდ შეტანილ იქნა სარჩელი და ამიტომ სამართალდამცავებმა ჰასანი და მისი თხა დააპატიმრეს.



საბოლოოდ გირაოს გადახდის შემდეგ პატრონიც და თხაც გაათავისუფლეს.

### ფრანგებმა ინგლისელებს ბლინების „ომი“ გამოუცხადეს



ფრანგებმა ინგლისელებს „ომი“ გამოუცხადეს, რისი მიზეზიც არასწორად დაჭრილი ბლინები გახდა. ამ ინფორმაციას ბრიტანული პრესაავრცელებს.

სოციალური ქსელების ფრანგი მომხმარებლები აღაშფოთა ფოტოსურათმა, სადაც ჩანს, რომ ერთმანეთზე დაწყობილი ჯემიანი ბლინები ტორტივითაა დაჭრილი.

— ფრანგმა კოლეგამ დღეს ბლინები გამოაცხო. ინგლისელები ნამდვილი ბარბაროსები არიან, — ნათქვამია სურათზე დართულ კომენტარში. ერთ დღეში ამ ფოტომ თითქმის მილიონი ნახვა მოაგროვა.

ოდნავ მოგვიანებით კამათში ჩაერთო მომხმარებელი, რომელმაც პირველმა გამოაქვეყნა აღნიშნული ფოტოსურათი. მან განაცხადა, რომ ოფისში ასევე მუშაობს ორი ირლანდიელი, ერთი რუსი და ერთი მექსიკელი და „დამნაშავე“ ნებისმიერი შეიძლებოდა ყოფილიყო.

თუმცა ფრანგულმა პრესამ ამ კომენტარს ყურადღება არ მიაქცია და გადაწყვიტა, თავდასხმები მთლიანად ინგლისელების წინააღმდეგ მიემართა. მაგალითად, ერთ-ერთმა ფრანგულმა გამოცემამ მომხდარს „ხოცვა-ჟლეტა“ და „ომის გამოცხადება“ უწოდა. მან ასევე მოუწოდა ფრანგ მორაგბეებს, „შური იძიონ“ ექვსი ერის თასის მატჩებში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**





## 16 თებერვლიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

## ლუის სუარესი

## ზღვარს მიღმა. ჩემი ამბავი

ბარსელონის სუპერფორვარდი ლუის სუარესი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელია.

წიგნში „ზღვარს მიღმა“ ლუის სუარესი გულწრფელად საუბრობს თავისი დამაინტრიგებელი კარიერის, ყოვლად გამოუსადეგარი ქუჩის ბიჭობიდან დიდ სცენაზე მოთამაშე ფეხბურთელად ჩამოყალიბებისა და იმ შეგრძნების შესახებ, რაც თითქოს აიძულებს, რომ ზღვარს გადააბიჯოს.

## ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## ჯაბა კანკავა: „ნოიერის კარში გატანილი გოლის შემდეგ სამოთხეში ვიყავი“

ფრანგული რეიმსისა და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ჯაბა კანკავა ჩვენი ქვეყნის 2015 წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. ჯაბა საფრანგეთში გადასვლამდე უკრაინულ დნიპროში თამაშობდა და იქაური მედია ჯერაც ვერ ივიწყებს დნეპროპეტროვსკელთა ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს.

ჩვენებურის ინტერვიუ უკრაინულ მედიაში გამოქვეყნდა.

***— ფრანგული უკვე გესმით?***

— ჯერ ბევრი ვერაფერი ვისწავლე, ფრანგული ენა ძნელია და მის შესწავლას დრო უნდა, მაგრამ ვცდილობ, ავითვისო.

***— მოასწარით მსოფლიოს ყველაზე რომანტიკულ ქალაქ პარიზში გასეირნება? საერთოდ, როგორ ატარებთ თავისუფალ დროს საფრანგეთში?***

— პარიზზე მხოლოდ დადებითის თქმა შემიძლია. ძალიან ლამაზი ქალაქია — როცა ვახერხებ, სულ ჩავდივარ. კარგია


**გაგრძელება მე-8 გვერდზე**






## იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:

— ცოლი რატომ არ მოგყავს?

— მდიდარ ქალს ვეძებ, მილიონერზე უნდა დავქორწინდე.

— ბიჭო, არ იცი, რომ მის მონად იქცევი?

— შენ რომ გაღლეტილზე იქორწინე, რა, შეიხი გახდი?

•••

დეპუტატები განიხილავენ კანონპროექტს, რომლის თანახმადაც, პენსიონერებს გზაჯვარედინზე წითელ შუქნიშანზე გადასვლა შეეძლებათ. წინასწარი მონაცემებით, ეს ქვეყნის ბიუჯეტს სოლიდურ თანხებს დაუზოგავს.

•••

სამსახურში ახალ თანამშრომელს იღებენ. უფროსი მის შრომის წიგნაკს ეცნობა და ბოლო სამსახურთან დაკავშირებით ეკითხება:

— სამსახურში 16 იანვარს მიგიღეს და იმავე წლის 24 იანვარს გათავისუფლდით. რატომ?

— რაც უფრო მეტად ვფხიზლდებოდი, მით უფრო ნაკლებად მომწონდა.

•••

ქმარი ცოლს ეკითხება:

— საჭმელი გვაქვს რამე?

— მაცივარში თუ რამეს იპოვი, შეჭამე.

მცირე ხნის მერე ქმარმა სამზარეულოდან გამოსძახა:

— ჩემო ძვირფასო, ეს შესანიშნავი ყინული შენი მომზადებულია?

•••

ბავშვი დედას ეკითხება:

— ბავშვები როგორ იბადებიან?

— სულ უბრალოდ, ჯერ თავი გამოდის, მერე ხელები, მერე ტანი და ბოლოს ფეხები.

— და მერე აწყობენ?

•••

ზოომაღაზიაში მამაკაცი გამყიდველს ეუბნება:

— თუ შეიძლება, იმ მოხტუნავე კუს ვიყიდი.

— რომელი მოხტუნავე კუ?! ოხ, ამის, ქვიშის გამათბობლის გამორთვა დამავიწყდა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 2. ზღვის პატარა კიბორჩხალა; 3. ისტორიული მოედანი ლონდონში; 4. ცისფერი ძვირფასი ქვა; 5. ტროას აღმომჩენი გერმანელი მილიონერი არქეოლოგი; 8. არსებობის ყოველგვარ საშუალებას მოკლებული, ღატაკი ადამიანი; 9. ტყუპი ცხოველის ძველი ქართული სახელწოდება; 12. ალპინისტთა ექსპედიცია რამდენიმე მწვერვალის დალაშქვრით; 13. პეკინის მეორე სახელწოდება; 16. აკაკი წერეთლის მშობლიური სოფელი; 17. ადამიანის ფსიქიკური და ფიზიკური მოქმედების სრული დაქვეითება, უუნარობა; 19. ზემო იმერეთის ძველი სახელწოდება; 20. ბერძნული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი.

**თარაზულად:** 6. პოპულარული კაფე ძველ თბილისში, ხელოვანთა თავშეყრის ადგილი; 7. მთიანეთი აზიაში; 8. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 10. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 11. ქალაქის ტიპის დასახლება; 14. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 15. ტბა უნგრეთში; 18. რაიონული ცენტრი კახეთში; 21. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 22. აეროპორტი პარიზში; 23. მდინარე საქართველოში; 24. აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

